

ქ ვ ე ნ ი დ რ ე ბ ა მ

832
1957

NOTRE DRAPEAU "

ს ა მ ა რ ტ ი ს ი მ ბ . ს ი მ ბ . მ ა რ ი ს ა მ ა რ ი ს

N° 26

Directeur: MICHEL STOUROUA.

ვ ი ნ ა რ ხ ს ი:

პ. ს.—19 ოქტომბერი 1917 წ. კ. კანდელაკის მოხსენება—
ჩვენი ყოფაქცევა სამშობლოს განთავისუფლებისთვის
ბრძოლაში. "—კონფერენცია, კონფერენციის დადგენი-
ლებაში. გ. გ.—რუსეთის ოქტომბრის რევოლუცია. ალ.
ტატიშვილი—რას დღესაწაულობენ! ია—ძე—ხრუშჩოვი
და მწერლობა. ა. ბატონიშვილი—გაკვრით. მისაბაძი მაგალითი.
პ. ს.—დ. ხელაძის ხსოვნას. პარტიული ცხოვრება და სს.

ბარიზი

ნ ი გ მ ბ ე რ ი

1957

P a r i s .

საზღვარგარეთ არსებულ ორგანიზაციების კონფერენცია
ორი დღე გაგრძელდა. ორი დღის განმავლობაში მის წინაშე
იდგა პოლიტიკური, ტაქტიკური და ორგანიზაციული საკი-
თხები, რომელთა შესახებ მან სათანადო დადგენილებები გა-
მოიტანა. ის ერთსულოვნება, რომელიც ახასიათებდა კონფე-
რენციის შემადგენლობას, მოწმობს, თუ რა პასუხისმგებლო-
ბას გრძნობდა თითეული დელეგატი და ცდილობდა ხელი
შეეწყო კონფერენციის ნორმალური მუშაობისთვის. მას შემ-
დეგ, რაც უცხოეთში უკანასკნელი კონფერენცია იყო მოწვე-
ული, პირობები ჩვენი მუშაობისა მრავლად შეიცვალა; დამ-
ძიმდა და გამნელდა. ამავე დროს ჩვენ დავგარეუთ ჩვენი პარ-
ტიის და ერთის ბელადი, მრავალი პარტიული და პოლიტიკუ-
რი მოღვაწეები. თითეული ამასწრეთაგანი გრძნობდა და გა-
ნიცდიდა ამ დანაკლიის, მით უფრო მეტი იყო დელეგატების
მრკიცე და ურყევი ნებისყოფა ბრძოლის გასაგრძელებლათ,
რიგების შესამციდროებლათ, პარტიაში მუდამ არსებულ ამ-
ხანაგურ და მეგობრულ ურთიერთობის შესახარჩუნებლათ.
კონფერენციის მუშაობის ნაყოფი უპასუხებს მტკიცნეულ და
მუდამ ჩვენს წინაშე მდგარ პოლიტიკურ ვითარებას; ერთად
დგომა, ერთად მუშაობა, —ქართული საჯმის საკეთილდღეოთ
და მის სამსახურისთვის მთლიანობა შიგნით პარტიაში,
მთლიანობა გარეთ ყველა ქართულ მებრძოლი ეროვნული
დამკიცის.

სამწუხაროდ კონფერენციაზე არ იყო წარმოდგენილი ამხანაგების ერთი ნაწილი, რომელიც კარგა ხანია გარეთ იმ-ყოფება; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში შესაძლებელი გახდება მათთან გაერთიანება, რისთვისაც თითეული პარტიის წევრი გალლებულია იმუშაოს...

კონფერენციაზე მომხდარ კამათმა საბოლოოთ გამოარყენა საჭიროება ქართულ პოლიტიკურ ძალების ერთ ფრონტზე დარაბის. ამ მხრივ,—იმედს გამოვთქვამთ, რომ პატივუფერმულ აშ. კ. კანდელაკის მოწოდება „შესმენილი და გულშრეფელად გაეგებული იქნება და ამდენი ხნის ნანარტი სურვილი გაერთიანების ჩრალობას გადაიწყება.

3, b,

ନେତ୍ରବିଦ୍ୟା ପରୀକ୍ଷାମଧ୍ୟାନ୍ତରେ

სამართლოს განთავისუფლებისთვის პრეზიდენტი.

პ. განველაგის მაცხესვნება ხაქ. ხოც.-დემ. ბარტიის ხასლვარგარეთულ დრგანიშავი-ების ყრილებაზე 19 დეკემბერს 1957 წ.

მეგობრებმა მომმართეს მე წინადადებით, რათა მოხსენება გავაკეთო თქვენ ყრილობის წინაშე. მე დავთანხმდი; ხლო აქვე მინდა ალვნიშნო, რომ შეიძლება ჩემს მოხსენებას პირდაპირი კავშირი არც-კი ექმნეს კონფერენციის დღისწესრიგში ხაგანებელი დასმულ საკითხებთან, იგი უფრო ზოგადი, უფრო საერთო ხასიათის არის და არც პარტიის რომელიმე ორგანოს სახელით არის აյ წარმოდგენილი.

მე ვილაპარაკებ «ჩვენი ყოფაქცევის შესახებ სამიზნებ-ლოს განთავისუფლებისთვის ბრძოლაში»; ეს საგანი მე ძალიან მნიშვნელოვანათ მიმართია, რადგან ჩვენი «ყოფაქცევიდან», ჩვენი მოქმედებიდან, ბევრად არის დამოკიდებული ემიგრაციის როლი ჩვენი განმათავისუფლებელ მოძრაობის წინსვლის საქმეში. ამისთვის ამ მოხსენების გაყენება მე შემძლოდა შემიძლია იმავე უფლებით. — და თუ გნებავთ იმავე მოვალეობითაც, — როგორც თქვენს წინაშე, ისე ყველა სხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა და ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა ქრების წინაშე. სულ სხვა, რასაკვირველია, თუ რა გამოძახილს პოვებს იგი სხვადასხვა წრებში.

არის მოვლენები, რომელიც წათელი არიან ყველასთვის, მაგრამ მათი დადებითი მხარეებს მაინც ხშირად განსხვება უნდა და გახსენება უნდა მანამდის, სანამ ისინი ცხოვრებაში განხორციელდებიან; არის სკაიოთხები, რომელიც ჩვენ გვთიშვავენ, ჩვენ გვყოფენ, და ამათ შესახებ ჩვენ უფრო ხშირად კლაპარაკობთ ხოლმე; მე კი მინდა ახლა, ერთხელ კიდევ, ვილაპარაკო თქვენს წინაშე იმის შესახებ. რაც შეაგროვებს და თუ არ გვაერთობს, უნდა გადაეკრითიანოს.

მე არ ვეხები ჩემს მოსხენებაში დიდს საერთაშორისო მოვლენებს, რადგან ამას თქვენ ისედაც ეყრდნობით სხვა მოსხენებებიდან და, სხვათა შორის, განათლებულ ქვეყნების დიდი პრესიდან და იქ უფრო აკტორიტეტულათ ნათევამს, ვინედ ეს ჩვენთვის არის მოსახერხებელი. მოვლეთ, მე ვილაპარაკებ იმის შესახებ თუ რა უნდა ვაკეთოთ ჩენენ, ემიგრანტებმა, და როგორ უნდა ვაკეთოთ იხ, რაც გასაკეთებელია.

ის გარემოება, რომ ჩვენი ემიგრაციის 36 წლის გასულს
ლაპარაკი გვიხდება იმის შესაჩერებ, თუ «რა ვაკეთოთ გა» ეს
საყითხი—მე კოიტობო—ისუა აინტირისიგა იმაგრაციის დიდ



ნაწილს ახლა, როგორც იგი აინტერესებდა იმას ემიგრაციის დასაშეისში,—ეს ორი გარემოება უკვე მოწმობს არა მხოლოდ იმას, რომ საკითხი დიდათ მნიშვნელოვანია, არამედ იმასაც, რომ ყველაფერი ამ საკითხის ირგვლივ კარგად არ არის და-ლაგებული.

თუ ჩვენ კარგად ვიცით რა უნდა ვაკეთოთ, უფრო ადვი-ლი იქნება გამონახვა საშვალებების, თუ როგორ უნდა ვაკე-თოთ იგი.

რა არის ამისთვის საჭირო? უპირველეს ყოვლისა საჭი-როა გათვალისწინებული გვერდების, თუ ვინ არის მოქმედი პირი, სახელმობ: ვინ არის ემიგრაცია და რა მოგთხოვება იმას?

ისტორიული მაგალითები იმას გვეუბნება, რომ პოლი-ტრიუმურ ემიგრაციის მნიშვნელობა სამშობლოსთვის იძდენათ სასარგებლო ყოფილა, რამდენათ ემიგრაციას თავის წარმომ-შობ ერის განზრახვები აქვს შეთვისებული, მისი გულისცე-მას ფეხ-და ფეხ გაყოლია და პოლიტიკურ საქმიანობაში ერის, ეროვნულ მოძრაობის, დამშმარე გლეგმენტათ გადაქცეულა; ხოლო, რამდენათ ემიგრაციის წარმოდგენაში თვითონ იგია, ემიგრაცია. მარილი ქვეყნის ანუ უმთავრესი მატარებელი ეროვნულ მისტირაფებათა, იმდენათ ემიგრაცია კონსერვატულ ელემენტათ არის გადაქცეული, ცხოვრების მოწყობას განვე-ნებულ თეორიების მიხედვით უდება და არა რეალურ მდგრ-მარეობის ცნობით. ერთ სიტყვით, ერი, ეროვნული მოძრა-ობა არის ემიგრაციის გზის მაჩვენებელი და არა წინააღმდეგ; თვით ერი აძლევს ემიგრაციას მამოძრავებელ ლიზუნებს და მაგალითებს, რომლის მიხედვით უნდა ააწყოს ემიგრაციამ თავისი მოქმედება. ამიტომ სანამ თვით ერში ცოცხალი სუ-ლისკვეთება და მოსუკიდებლათ ცხოვრების და იგი იბრძეის ამისთვის. პოლიტიკური ემიგრაცია ამ გზას მიყვება; ხოლო თუ ერში ჩატქრა ცეცხლი თავისუფლებისთვის ბრძოლის, ემიგრაცია მას ძველ გზაზე ვერ დააბრუნებს.

ეს გარემოება ჩვენ მუქამ უამს უნდა გვასხვაოს; უნდა გვახსოვდეს ისე, როგორც შემდეგი მოვლენაც:

ბევრ შემთხვევაში ემიგრაცია არის წარმოშობილი მტ-რული განწყობილებით და შეურიგებლობით მის ქვეყანაში გამეფებულ რეემთან, რომელსაც შინ ყავს დამცველები. აქ ემიგრაცია ზინაურ ბრძოლაში არის ჩართული და ხანდახან სამოქალაქო ომშიც: ზოგი ერთ მიმღინარეობას ემხრობა, ზო გი—მეორეს. ჩვენი, ქართველი ემიგრაცია არ არის წარმოშო-ბილი, ოდნავათაც, ამ ნიადაგზე; იგი მთელ ქვეყანასთან ერ-თად ხმლით ხელში ებრძოდა გარედან შემოსეულს უცხო ძა-ლის და ერთსულოვნათ იცავდა თავის ქვეყანას და იმის წეს-წყობილებას; მტერმა დასძლია იმას. მაგრამ ერთ ნაწილს ჩვე-ნი ერისას, თუმცა მცირეს, საშუალება შეიცა იარაღი—იარა-ღია თავისუფალი სიტყვა და პრესა, საზოგადოებრივი აზრის

შიმზრობა, საკითხის პროპაგანდა და სხვ. იარაღი ხელიდან არ გაშვა, გამოსულიყო უცხოეთში და აქედან განეგრძო ბრძოლა გარემონტის მემონეტულ მტრის წინააღმდეგ და არა მშოლოდ რეფიშის წინააღმდეგ.

ამნაირათ, ქართველ ემიგრაციას არ სთიშავს არსებითად შინაური უთანხმოებანი, საამდროო შინაური საკითხები, ჩევრში შეჰქმნილ პოლიტიკურ მდგრადეობის შეფასება; იგი გაერთიანებულია ერთად-ერთ მთავარ საზრუნავ საქმეში: როგორ მოიცილოს გარედან შემოსული მტრის უდელი. ეს მთავარი საკითხი აკავშირებს ემიგრაციას, აკავშირებს მთლიანათ, «ტყვეთ ჩავარდნილ» ერთან და მის სულისკვეთებასთან. მიზანი დასახულია ნათლად და იგი უნდა იყოს უმთავრესი მამოძრავებელი ძალა ემიგრაციის მოქმედების; ხოლო ეს მისი მოქმედება რომ არ დაბრკოლდეს. საჭიროა ამ საკითხს ჩამოსცილდეს—დროებით, ოკუპაციის ჩანაში—ყველა სხვა საკითხები, რომელსაც შეუძლია ემიგრაციის მთლიანობის, მისი ერთსულოვნების, დარღვევა ყველასი გამართიანებელ საქმის ირგვლივ თავის მოყრის მაგიერ.

ეს შეიძლება საკითხია, რომელიც ყოველთვის თვალწინ უნდა გვედგეს და ჩვენს მოქმედებას საფუძვლად უნდა დაედვას.

* * *

ჩვენი საქმე გრძელდება. ხოლო ამ საქმეს, საქართველოს საკითხს, საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე ის ადგილი აღარ უჭირავს ახლა, რაც მას ამ 30—35 წლის წინად ეჭირა. ეს შედეგია უმთავრესად, საერთაშორისო ამბების განვითარების ამ დიდი წნის განმავლობაში. და, მართლაც, თუ ამ 30—35 წლის წინად საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა რესესის მიერ თითოთ საჩვენებელი, თავისუფალ ქვეყნების საზოგადოებრივი აწრის აღმაშოთებელი ამბავი იყო და, როგორც სოციალისტურ ინტერნაციონალის იმ დროინდელ (1924 წ.) დეკლარაციაში სამართლიანათ იყო ნათებაში, რომ საქართველო ისე, როგორც ერთ დროს პოლონეთი, «სიმბოლო არის ყველა ძალადობით დაჩაგრულ ერის»-ო, მას შემდეგ რაც მოხდა, მსოფლიო რუქა რომ შეიცვალა, იგივე პოლონეთი და მრავალი სხვა ერი წინადაღლზე უარეს მოგომარეობაში რომ ჩავარდენ და თვით ევროპის შუა-გულში, უნგრეთში, დატრიალებულ ამბების შემდეგ,—განა შეიძლება თქმა იმის, რომ მარტო-მარტო საქართველო არის «სიმბოლო ყველა ძალადობით დაჩაგრულ ერის», როგორც ამის თქმა ამ 30—35 წლის წინად შეიძლებოდა? აი უმთავრესად, რატომ შოაკლდა ჩვენს საკითხს საგანგებო საერთაშორისო ყურადღება. იგი, საქართველოს საკითხი, ახლა დაკავშირებულია მთელ მსოფლიოში დამყარებულ მდგომარეობასთან; სიმპატიები და თანაგრძნობა ჩვენი საკითხისადმი განათლებულ კაცობრიობის საზოგადებრივი აწრის სილრმეში დარჩა, სა-

ჭირობა მხოლოდ იმის გაცემულება და იმის ირგვლივ მუდ-
მივი პროპაგანდის გაწევა. ეს ჩვენ, სამშესაროთ, გვაკლია და
ამიტომ ჩვენი უდიდესი ყურადღება აქეთკენ უნდა იქმნეს მი-
კეცული.

ამისთვის ჩევნი სჯმისთვის სასარგებლოთ უნდა ჩაითვალოს ჩევნი თანამშრომლობა «აეროკულ კომიტეტთან»; იმის მეობებით ჩევნ გვეძლევა საშვალება ცოტაოდნი სწორი ცნობები მაინც მივიწოდოთ იქ, განათლებულ კაცობრიობას მოწყვეტილს ჩევნს ხალხს და აქ, საბჭოთა კავშირის გარედ, სხვა ერგბის წარმომადგენლებთან ერთად, გაფანტურ ის ცტუცნობები, საბჭოთა კავშირის ხელისუფლება ომა ავრცელებს თავის სასარგებლოთ დედამიწის ყველა კუთხეში. ამას, ასეთი დიდი მასტრაპით, ჩევნ მხოლოდ ჩევნი საკუთარი საშვალებით ვერ მოვახერხებდით. და თუ ეს არ არის საკმარისი—და მეც იმ აზრის ვარ, რომ ეს არ არის საკმარისი—ჩევნ ენერგიას გაორკეცება უნდა, როგორც ენერგიის ამ გამაერთიანებელ დაწესებულებაში სამუშაოთ, ისე საკუთარ მოხერხებით და საშვალებით ამ დაწესებულების გარედ. კრიტიკა საჭიროა, მაგრამ არ კმარა; რაც არსებობს და იყო თუნდაც ცოტათი სასარგებლოა, მას გამაგრება უნდა, გამოყენება და არა უკუღლება.

ჩვენი მიზნის მისაღწევათ არ არის საჭირო ჩვენი მსოფლი მხედველობის შეცვლა, სოც.-დემ. პარტიის წარსულის მივიწყება—ამას ჩვენგან ვერავინ მოითხოვს; არ არის საჭირო სხვის არგუმენტებით და მეთოდებით სარგებლობა, სხვის ბანაკში იდეურათ გადაბარება. ეს არც სხვა ჯგუფებს მოკთხვება ჩვენგან. ხოლო თუ ვისმე გული გაუტყდა, ვინც ფიქრობს, რომ სოციალისტები საქმარისად ვერ ემსახურებიან ეროვნულ საკითხს, ისინი არ იცნობენ სოციალისტების არც იდეოლოგიას და არც პრაქტიკას, არც წარსულში დაარც ახლანდელ ღრმუში. ჩვენი და სხვისი მეთოდი და დასაბუთება ეროვნულ თავისუფლებისთვის ბრძოლის, დიახაც, შეიძლება სხვადასხვა ნაირი იყოს, სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯაუფებებს შეიძლება უფრო ეხერხებოდეს ზოგგანსაკუთრებულ სფეროში მოქმედება, სხვადასხვა წრეში; ამის საშუალება მათ უნდა მიიცეს, ისე როგორც ჩვენ არ უნდა დაგვეწუნოს ჩვენი გზით სიარული. ხოლო საქმე ისაა, რომ როგორც ჩვენი გზა, ისე გზა მათი, ერთი და იმავე დანიშნულებისაკენ უნდა მიღიოდეს, ერთი მეორეს არ უნდა აბრკოლებდეს. რასაკვირველია, მორალურ საშუალებებით უნდა იყაფებოდეს და აშკარად და მტკიცეთ უნდა ემსახურებოდეს ჩვენი და მათი საერთო სამშებელოს განთავისუფლების საქმეს, რადგან სამშობლო მათ-თვის ისე, როგორც ჩვენთვის, ერთია, ძვირფასია და განუყოფლი.

အမိန့်တွေးစီမံချက် ဒေသပြုရေး ဗုဏ်သွေးဆုံး အမြန် ဒေသပြုရေး လုပ်ငန်းများ ဖြစ်ပါသည်။

შაც იმ ორ დაჯგუფებათა შორის. რომელიც ხდება მსოფლიოში—აღმისავლები და დასავლები—ჩეენ ბუნებრივათ მოვყენით დასავლეთის ორიენტაციაში. დასავლები და იმის ცივილიზაცია ასულდგმულებს დღეს ისე, როგორც ასულდგმულებდა გუშინ, დემოკრატიის და მთელი კაცობრიობის საუკეთესო იდეალებს, კერძოთ დაჩაგრულ ერების განთავისუფლების საქმეში. აյ გაგასხსნებთ მე არა მარტო ტიტო სოციალისტის, საფრანგეთის გამოჩენილ ტრიბუნის, არამედ ერთა თავისუფლების თავგამოდებულ დამცველის საერთაშორისო მასშტაბით, უას-უორენ ეს ის სიტყვებს: «... ნაციონალურ გამარჯვებაში ყოველთვის წილი უდევს დემოკრატიას, ამბობდა იგი: ... ერთ და დემოკრატია არიან უმთავრესი, ძირითადი პირობები (საზოგადოების) შემდეგი უმაღლესი განვითარებისთვის»-ი (იხ. «L'Armée Nouvelle» გვ. 439—442 «პუმანიტე»-ს გამოცემა).

ჩეენს მდგომარეობაში ახლა ბევრი ერი იმყოფება საბჭოთა კავშირში. ზოგნი იმათგან იბრძვიან ერის თვითგამორკვევის უფლების მოსაპოვებლათ, ზოგნი კი უკვე არსებულ და ძალით წარმოეულ ეროვნულ თავისუფლების და სახელმწიფო ებრივი დამოუკიდებლობის აღსაღენათ. ამ უკანასკნელთა რიგში უნდა აღიროცხოს, ბალტიის სახელმწიფო ებრივთ, საქართველოც, ნაცნობი დამოუკიდებელ სახელმწიფოთ დაქტიურათ და იურიდიულათ თითქმის მთელი მსოფლიოს მიერ და მათ შორის საბჭოთა რუსეთის მიერაც. ჩეენ ახალს არაფერს მოვითხოვთ, ჩეენ მოვითხოვთ მხოლოდ ტლანქი ძალის საშვალებით უცხო მტრის მიერ გათელილ ჩეენი უფლებების აღ დგენას.

ეს უდიდეს საბუთია, ნათელი ყველასთვის და მეტყველი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სასარგებლოთ. ამისთვის ეს საბუთი—და ამას მე მუდამ ვიმეორებ—ჩეენ პირველ პლანზე უნდა გამოვიყენოთ და ყოველგვარი ნაბიჯი, შიგნიდან თუ გარედან, ამ გარემოებას რომ დაასუსტებს, ამ საკითხს თავიდან უნდა ავაცილოთ. საქართველოს საკითხი საერთაშორისო საკითხია და ჩეენ უნდა შევებრძოლოთ ყოველგვარ ცდას, საიდანც უნდა მოდიოდეს იგი. და ამ ცდას რა გვარი დაპირებები თან უნდა ახლავდეს, იგი საბჭოთა კავშირის თუ მომავალ რუსეთის შესაძლებელ იმპერიის შინაურ საკითხათ არ გადაიქცეს.

ყველა დაჯგუფებას—ვისაც უნდა წარმოადგენდეს იგი—უფლება აქვს სამშობლოს ინტერესები დაიცვას, ხოლო იმდენათ მეტის ავტორიტეტით, რამდენათ ასეთ დაჯგუფებას ძირი უდევს სამშობლოში და იმის წარსულში; ამის გამოყველა დაჯგუფებას ემიგრაციაში ერთნაირის უფლებით არ შეუძლია სამშობლოს წარმომადგენ ნლობა დაიჩინოს, მით უფრო, რომ ასეთ დაჯგუფებას გადაიცვას, ზოგი სარგებლობს ჩეენი ახლობელ წარსულის დასაგრძათ და მით ნებსით თუ უნებლი-

ჭო, პირდაპირ თუ არა-პირდაპირ, და ზშირად ძალიან უმართებულოთ, ჩრდილს აყენებენ ქართველ ერის შესაძლებლობას თვითონ გაუძლევენ თავის საკუთარ საქმეებს.

ჩვენი უპირატესი უფლებრივი მდგომარეობა სრულებით არ აბრკოლებს ჩვენს დამოკიდებულებას განთავისუფლებისთვის მებრძოლ საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა ერებთან, მათთან საგნობრივ-მიზნობრივ კავშირს და კერძოთ მცირდო კავშირს ჩვენს მეზობლებთან გაეცახის ერგებთან. საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ მათთან ვართ და მათთან ვიქენებით, ხოლო ვიქენებით ჩვენი საკუთარი სახით და ეროვნულ განთავისუფლებისთვის ბრძოლის ჩვენი საკუთარ ეროვნულ პროგრამით, ჩვენ განსხვავებულ მოთხოვნილებებით ზოგ შემთხვევაში და ამისთვის ჩვენს განკარგულებაში არსებულ შესაფერ დასაბუთებით.

გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ერთი მუდმივი ცენტრალურ დაწესებულების შექმნა განთავისუფლებისთვის მეტრძლო ყველა ერების წარმომადგენელთაგან ძნელია, ძნელი მოსახლეობელი. რაღაც ყველას თავისი საკუთარი შეკლა აქვს ამ მჩრივ განვლილი, თავისი საკუთარი გზა და გამოცდილება; სვადასხვა ერს სხვადასხვა მსოფლმხედველობის ხალხი წარმოადგენს, ყველას თავისი საკუთარი პრეტენზია აქვს. რომლის მხარის დაჭრა დეტალურადში სხვებისთვის ჩშირად მოუხერხებელია, და სხვ.

ჩევნ პატივი უნდა ვცეთ სხვა ერის წარმომადგენელს, ვინც
უნდა იყოს იგი, და მის კანონიერ მოთხოვნილებას; ხოლო, რა-
მდენათ ჩევნი წარსული და ჩევნი მოქმედების აქინდელი ხაზი
განირჩევა მათვან, იმდენათ საჭიროთ უნდა იქმნეს მიჩნეული
ცალკე ერების სხვისგან დამოუკიდებლათ დარაზმევა და თა-
ვის გამოცდილების მიხედვით მომზადება საერთო მოქმედე-
ბისთვის. ხოლო, რადგან ამავე დროს—და ახლა ამას უკვე
დიდი ხნის გამოცდილება გვეუბნება—საბორთა კავშირის უკ-
მაყფილო ერების ერთად და ერთსულოვნათ გამოსვლა აუ-
ცილებელი პირობაა მტრის დასამარტებელათ და რომ ერე-
ბის ცალკე-ცალკე გამოსვლა აქუცმაცებს მათ ძალას და მტ-
რებრის უადგილებს სჯემეს, —საჭიროა სხვა მებრძოლი ერებთან
მუდმივი კონტაქტი და თავის დაჭერა ისეთ ნაბიჯებიდან,
რომელმაც შესაძლებელია ავნოს საერთოს ან რომელიმე მა-
თვანის სჯემეს.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლ სხვადასხვა ერებთან ურთიერთობა საერთოდ სათუთი საყითხია. რომლის გადაჭრა ერთი ხელის მოსმით და ერთნაირა შეცდლებელია. ჩვენის მზრით, სხვა ერებთან დამკიდებულების საყითხში ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ დებულებებით, თქვენთვის ნაცნობით. და ამ გარდამავალ ხანაში იმით დაკმაყოფილდეთ საერთოდ სახელმძღვანელოთ,—სახელმო:

«საქმიანი დამოკიდებულება თუ კავშირი უნდა დავი-

ჭირობ გვიდა იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და იმ ერების წარმომადგენლებთან, რომელიც:

1) უდავოთ სცნდენ ქართველ ერის ხევერტნელ უფლებას თვით განაცხოს თავისი ბედი;

2) აღიარებონ საერთოდ ერთა თვითგამორკვევის უფლებას ერგებებით;

3) იძრძვიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგებ.

ეს დებულებები მიღებული იყო ეროვნულ საბჭოში შემავალ პოლიტიკურ და ჯაგუფუებათა მიერ საკითხის ყველა მხრივ გასინჯვის შემდეგ და გაზიარებული იყო საქართველოს ეროვნულ მთავრობის მიერ ჯერ კიდევ ნოვ ეორდანის სიცოცხლეში, ე. ი. ეროვნულ მთავრობის სრულ შემადგენლობის დროს და აშიტომ იგი მე სავალდებულოთ მიმაჩნია.

აյ ნაჩერებია ნათლათ, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება პრინციპიალურათ, როგორც საბჭოთა კავშირში ძალით შევანილ, ისე საზოგადოთ ყველა ერებთან. ესაა ჩვენი ძირითადი ხაზი სხვა ერებთან—ყველასთან—ურთიერთობაში ამ გარდამავალ ხანაში და ძლიერ საერთო მტერთან ბრძოლაში.

ზედმიწევნითი ანალიზი ამ ურთიერთობის იმას გვეუბნება, რომ შეუძლებელია, მაგალითად, რომ იგი ერთნაირი იყოს ჩვენ მეზობელ კავკასიის ერებთან და ჩვენგან დაშორებულ, მაგალითად, ბალტიის ქვეყნებთან, იდელ-ურალთან და სხვებთან.

ჩვენ მდგომარეობა მოითხოვს, რათა ძლიერ კეთილგანწყობილი ურთიერთობა გვეციროს საბჭოთა გარეშე მდგომდიდ თუ პატარა ერებთანაც; თავისუფალ ქვეყნების ყურადღებას ჩვენი მტრის წინააღმდეგ მტრებს და ჩვენი ქვეყნისადმი შეგვბრულ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საქმისთვის, რადგან განათლებულ ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ აზრს; ხოლო ჩვენი მოქმედების საფუძვლათ, როგორც კავშირში შემავალ, ისე გარეშე ერებთან, აღიარებული უნდა იქმნეს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ბედი გადავაბათ შარტერთ შარტერ რამელიმე სხვა ერთს ბედს, რამდენადაც ძლიერი უნდა იყოს იდა.

ჩვენ არ ვიცით, რა პირობებში და როგორ მოხდება,— როცა იგი მოხსება,— საბჭოთა კავშირის ლიკვიდაცია; ან, არ აღმოუჩნდება მას იმ დროს უეცარი დამხმარე სწორეთ იმ ბანაკითან, საიდანაც ეს ახლა სრულებით მოულოდნელია? პატარა ერი ვართ, მაგრამ მაინც ჩვენი საკუთარი პოლიტიკით უნდა ვიხელმძღვანელოთ. არა მხოლოდ შორეულ წარსულში, არამედ ჩვენს დროშიც დაიქცენ უდიდესი იმპერიები, ხოლო პატარა ერები გადარჩენ. საქართველო ერთი ამის მაგალითია საუკუნეთა განმავლობაში.

დადი ერის დახმარება პატარა ერისთვის ძვირფასია, მა-

გრამ ხშირად მას, დიდ სახელმწიფოს, ისე არ ესახება პატარა ერის ინტერესები, როგორც ეს ესახება თვითონ დაინტერესებულს პატარა ერს. შორს რომ არ წავიდეთ, განა უკანასკნელ ომმა არ მოგვცა მაგალითი იშის, რომ დიდ სახელმწიფო ობიექტების დიდი მიზნების მისაღწევათ ადვილათ შეუძლიათ შესწირონ პატარა ერის საარსებო ინტერესები? ამიტომ ყოველგან და ყოველ პირობებში, ვიმეორებ, ჩვენ ჩვენი სახე უნდა შევინახოთ და ჩვენ მიერ წარმოებულ ბრძოლაში, თუნდაც ძალიან ძლიერ მტკრთან, ჩვენ არა სხვის, არამედ თავის ხატარ უცდებას, მღვერებების და ძალას უნდა ვემყარებოდეთ —უმთავრესად და უპირველესად ყოვლისა.

ეს მესამე დებულებაა, რომლით ჩვენ უნდა ვინერმდლვანელოთ ჩვენს ახლანდელ პოლიტიკურ საქმიანობაში.

თუ ჩემს მიერ აქ ნათენამს დაეუკვირდებით და მოვინდომებთ იგი ჩვენს მოქმედებას საფუძვლათ დაუდგათ, ჩვენ ვერ ვიპოვით თუ არა ერთად-ერთს ნიადაგს იმის ცხოვრებაში გასატარებლათ: ესაა მოქმედება ყველა ეროვნულ ძალების, შინ და გარედ, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გასაერთიანებლათ.

ამას იქ, სამშობლოში, აღწევენ; რატომ ვერ ვალწევთ ამას ემიგრაციაში?

მე არ შევუდგები აქ განმეორებას იმისას, რაც არა ერთ-ხელ თქმულა და დაწერილა. სანამ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დროშას, ყველასთვის მთლიანათ მისაღებს, არ ჩამოსცილდება სხვა საკითხები, რომელთაც პირდაპირი კავშირი არ აქვთ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლასთან, ემიგრაცია თვით მთავარ საკითხშიც ვერ გაერთიანდება. ჩვენ უნდა ჩამოვალილოთ მის დროშას: ისტორიული დავა ზოგიერთ საკითხების გამო; კრიტიკა მუშაობის სხვადასხვა მეთოდისა წარსულში; ზოგიერთ პიროვნების პოლიტიკურ მოწინააღმდევეთა ბანაკიდან ერთის თუ მეორეს მხრით, ნიშანში ამოლება. —ყველაფერი ეს და ამის მნიგესი საკითხები შეიძლება მართლაც სადაცო იყოს, მაგრამ დავის საგნად ისინი ახლა არ უნდა გაიხინოთ. პოლიტიკურ ჯგუფთა თუ ცალკე პირთა მუშაობის სხვადასხვანაირი მეთოდი, სხვადასხვა ბანაკში ჩვენი საქმის მომხრეთა ძებნა და ცდა მათი შეძენის —ღრიგნ-ტაციის შეცვლათ ან დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დალატათ არ უნდა იქნეს დასახული; ასეთი ბრალდებები ჩვენი ლექსიკონიდან საწოვადოთ უნდა იქმნეს ამოლებული, რადგან: ისინი აოცებენ გარეშე პირებს, ჩვენს მეგობრებს —უცხოელებს; შინაურებს კი ალიზიანებენ, როგორც პოლიტიკური ფანთი, და საერთოდ სწამლიავენ ატმოსფერას. დევლ პოლიტიკურ მებრძოლებს ასეთი «ბრალდებები», რომელსაც მათ წინააღმდეგ ძალიან ადვილათ ისერიან, ვერ დააშინებს, ხოლო

პოლიტიკურ ბრძოლაში და ინტერიგებში გამოუცდელები კი შესაძლებელია მართლაც ჩამოვიცილოთ და არა სასურველ ბანაქში გადაისაროლოთ. ყოველ მხრივ და უკანასკნელ გარემოებამდის უნდა ეკრიდოთ ასეთ ბრალდებების, თუნდაც ქერძო საუბარში, ერთი-მეორის წინააღმდეგ წამოყენებას, თუ ამის მართლა საფუძვლიანი საბუთი არ არსებობს.

ჩეენ, მონაწილენი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრების ახლობელ წარსულში და იმის ახლანდელ თავგადასავალის, «პოზიციაში» ვიყავით და ვართ თუ «ოპოზიციაში», — ჩეენ ვერ ვიქნებით ამ ეპოქის ისტორიულსები და დამფასებელნი: და მით უფრო, როცა ისტორიულ ამბებს უდებიან არა მაშინდელ გარემოებათა, არამედ ახლანდელ პოლიტიკურ გარემოცულობის მიხედვით; ეს კი ჩეენს შორის ხდება და ეს ამრულებს საკითხს, ხოლო საქმეს ოდნავ არ ემსახურება.

სანამ ასეთი მდგომარეობა არსებობს, სანამ ასეთი უნდობლობაა, ქართველ ემიგრაციის ორგანიზაციულათ დარაჩმვის საქმე წინ ვერ წაიწევს. და, შეიძლება, უკვე ფუჭიც იყოს ოცნება მთელი ემიგრაციის ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციის ფარგლებში გაერთიანების? მაგრამ ჩეენი ცდა მაინც აქეთ უნდა მიიღორთებოდეს: თუ სავსებით არა, მთავარ საკითხებში მაინც ჩეენ შეთანხმებულათ უნდა ვმოქმედედეთ. მე ვიმეორებ: ნურცერთ პოლიტიკურ დაჯგუფებას ნუ დაეწუნება იმოქმედოს საერთო მიზნისივის თანაბმად თავის მსოფლმხედველობისა, თანაბმად თავის ჯგუფის თავისისუფლებისთვის ბრძოლის ტრადიციისა, თანაბმად თავის საკუთარ გამოცდილებისა—ხან საერთო გამოსვლების სახით, ხან ოპოზიციითაც, —რადგან საქმიანი ოპოზიცია სასარგებლოა საკითხის გამოსარკვევათ; ხოლო ეს უნდა ხდებოდეს ყოველთვის ერთი-მეორის პატივისცემით და არა ერთი-მეორეზე თავდასხმით და არასტროს ისეთი «საფასურის» მოთხოვნით პოლიტიკურ მოწინააღმდეგიდან, იმას რომ დაამცირებს, დავას სწორი გზიდან გადაიყვანს და საერთოდ ჩეენს საქმიანობას დაასუსტებს.

ჩეენი საქმე სწორი და სამართლიანი საქმეა; ყველა მამულიშვილს, ყველა ადგილიდან ან მდგომარეობიდან, შეუძლია პატიოსნათ ემსახუროს იმას. ამიტომ მე ვამბობ, რომ ჩეენს პოლიტიკურ საქმიბრნობაში ყველა უნდა დარჩეს თავის პოლიტიკურ წინის, უფლების და მდგომარეობის ფარგლებში. თუ ძეველ თაობას ძეველი რევოლიუციების სტაჟი აქვს და ახლად აღორძინებულ სახელმწიფო ფონდიების ცხოვრების გამოცდილება, ახალმა თაობაშ ამით უნდა ისარგებლოს დაწყებულ საქმის გასაგრძელებლათ, იქ ახალ ცოდნისა და ახალი პერსპექტივების შეტანით. უთანხმოება, რომელიც არსებობს ემიგრაციაში, არ არის ჩეეულებრივი დავა «მამებსა და შეიძლებს» შორის, რადგან აქ მათ ყოფს არა ემი, არა სხვადასხვა ეპოქის გარემოცულობა; აერთებსკი ერთი და იგივე საშინელება,

დაწყებული «მამების» ტროს და დღემდის რომ გრძელდება; ამიტომ მათ ერთად ერთი საქმე აქვთ, ერთი და იგივე დანიშნულება, ყველა თაობისთვის ძვირფასი და მისალები: სამზობლოს განთავისუფლება.

ამისთვის საჭიროა ხინტეზი და გაერთიანება ამ ნიადაგზე სხვადასხვა შექცელულებათა და არა მათი დაპირისპირება. არ არის გასაკვირი, თუ დაჯგუფებანი, რომელთაც დიდი ხნის განმავლობაში თავისუფლებისთვის უბრძოლიათ, დიდი პასუხისმგებლობა აულიათ და ახლაც ეს მათ აწევს, მოითხოვენ, რომ ამ გარემოებას ანგარიში გაეწიოს. ჩვენ ვიცით, რომ გარეშენიც კი ანგარიშს უწევენ ამ მდგრამარეობას და უმთავრეს ყურადღებას ისინი აქცევენ პასუხისმგებელ პარტიის ან ჯგუფის მოქმედებას, ვინენ სხვებისას. ამ პასუხისმგებლობას ჩვენი წრიდან ვერავინ გაექცევა და მით უფრო იგი ვერ გადაეცემა იმათ, ვინც ამ პასუხისმგებლობას გაურბის და ვისაც ჩვენი ქვეყნის ბედნიერი, დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღმშენებლობითი მუშაობის, ისე როგორც იმის წაქცევის მწარე დღეები, არ განუცდიათ ფაქტიურათ და არა განყენებულათ. აი რისთვის არის საჭირო, ვამბობ მე, ხინტეზი ძველის და ახალის ცოდნისა და გამოცდილების ემიგრაციის მუშაობის საერთო ხაზზე და არას შემთხვევაში მათი დაპირისპირება.

ჩვენი შინაური უთანხმოებანი უალრესად ჩვენი შინაური საქმეა, ჩვენი, ქართველების, გარეშეთავის ხშირად გაუგებარიც. ამიტომ დასაგმობია ყველას მიერ, ვისაც საერთო მუშაობისთვის წინ გადადგმული ერთი ნაბიჯიც კი აინტერესებს, შინაურ უთანხმოების გარედ გამოტანა; ეს უფრო გვთიშვავს და უფრო გვაცილებს ერთი-მეორეს. საქმეს კი ვერაფერს შველის.

ასეა თუ ისე, რამდენათ საქართველოს სოც.-დემ. პარტიის ორგანიზაციები საზღვარგარედ გრძნობენ თავის წილ პასუხისმგებლობას განმათავისუფლებელ მოძრაობის წარმატებაში, რამდენათ ისინი ამ საქმეში ეროვნულ მთავრობის წარმომადგენლობას და ეროვნულ საბჭოს თუ სხვა მისგვარ ორგანიზაციას მხარს უჭერენ, ისინი სავსებით გაერთიანების თუ არა, შეთანხმებული მოქმედების საკითხს დღის წესრიგიდან ვერ ამოიღებენ.

სამშესახოთ, ჩვენს პარტიაში ისე, როგორც სხვებში, ზოგნი არც კი ფიქრობენ, რომ სხვადასხვა ჯგუფებთან თანამშრომლობით ეს უკანასკნელი გახდებიან მოზიარენი იმ პასუხისმგებლობის, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს აქნამდის მხოლოდ ნაწილს ემიგრაციისას; პასუხისმგებლობის გაზიარება კი მოითხოვს ლოიალურ თანამშრომლობას ურთიერთ შორის და ის ენერგია, შინაურ უთანხმოების გამო რომ იხარჯება საერთოდ, განმათავისუფლებელ ბრძოლას მოხმარდება.

ხოლო, როგორც იტყვიან, დახმარება, თუ კარგი საქმე,

თვით თავის თავიდან იწყება (ფრანგული ამბობენ: *charité bien ordonnée commence par soi-même*). ამისთვის, საერთო საქმის წარმატების მიხნით, უნდა მოისპოს პირველ რიგში ჯგუფებათ დანაწილება თვით სოციალდემოკრატიულ პარტიის წრეებში, და მწუხარებით უნდა აღინიშნოს, მაგალითად, თუ ამ კონფერენციაზე სოც.-დემოკ. პარტიის ყველა ჯგუფები არ არიან წარმოდგენილი; ასეთ საქმის მოწესრიგებისთვის რიცხვი კი არ უნდა თამაშობდეს გადამწყვეტ როლს, არამედ მიზანშეწონილობა. გაიხედეთ განათლებულ და თავისუფალ ქვეყნებში: აյ საგარეო პოლიტიკაში სხვადასხვა პარტიები თითქმის ყოველთვის გაერთიანებული არიან, ყოველ შემთხვევაში უფრო, ვინენ სხვა საქმეში.

ერთი სიტყვით: შესაძლებელია თუ არა, თუნდაც დროებით—ოკუპაციის ამ მძიმე ხანაში—ზავი ჩამოვარდეს სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის ქართველ ემიგრაციაში, რომელსაც არ ჰყოფს არც წოდებრივი. არც სოციალური საკითხები; აერთებს კი ლტოლვილის მწარე ბედი და უდიდეს მოვალეობა—ემსახუროს სამშობლოს განთავისუფლების საქმეს.

თუ ეს შევძლებელია, ჩვენი ბრძოლის ინტენსივობა იქლებს, უპასუხისმგებლონ ნაბიჯები გაშირდება, ჩვენი ძალების სისუსტე საერთოდ უფრო და უფრო გამოაშკარავდება. მაშინ ჩვენი როლს და ჩვენი პარტიის ადგილს განმათავისუფლებელ მოძრაობაში სხვა ვინმე მოინციდებს დაეპატრონოს და ეს მოვლენა საერთო საქმისთვის მხოლოდ და მხოლოდ საზარალო იქნება. ამას მოწმობს საქარ. სოც.-დემ. პარტიის მთლიანობიდან გამომდინარე მისი უნარი ბრძოლის მთელ მის წარსულ ისტორიაში.

* * *

ჩემი მოვალეობაა, ყოველ შემთხვევის გამო, ამ მდგომარეობის თქვენს წინაშე აღნიშნა ნათლათ და გულახდილათ. თქვენი საქმეა, საქმე ძირითადი, მიღება აյ წარმოდგენილ მოსაზრებების და ზრუნვა მათი ცხოვრებაში გატარებისთვის. თუ აյ ნათქვამს ჩვენ ანგარიშს გავუწივთ და მით უფრო თუ მას სახელმძღვანელოთ მივიღებთ, ატმოსფერა თანდათან გაიწმინდება და შეერთებული ძალით და საერთო ხელმძღვანელობით მუშაობა ემიგრაციაში შესაძლებელი გახდება.

ხოლო ეს უნდა ხდებოდეს არა საკუთარ რიგების დანგრევით, არამედ მათი გაცხოველებით და მთლიანთ, მთლიანი ფრონტით სხვა პოლიტიკურ ჯგუფებთან და პარტიის გარეშე მდგომ სასარგებლო პირებთან ერთად. მათი სამშობლოს განთავისუფლების საქმეში ჩასაყინებლათ. ეს კი, მე ვამბობ, თქვენი საქმეა, რადგან: აღმშენებლობა იწყება ძირიდან, საძირკელიდან, და არა სახურავიდან!...

ერთად მუშაობისთვის საჭიროა ურთიერთ დათმობა.

იშერი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს უფრო ადვილათ მოხერხდება, თუ თქვენს ავტორიტეტულ მოქმედებას თქვენს წრეში და სხვებიც თავის წრეში ამ საქმეს მოახმარებენ.

* * *

ჩემი მოხსენებიდან და ჩვენი საკითხის საერთაშორისო პოლიტიკურ მდგრადარეობასთან დაკავშირებით, ჩვენ შემდეგი ასკვენები უნდა გამოვიყანოთ:

1. ახლანდელი პოლიტიკური მდგრადარეობა გვავალებს, რათა მტკიცეთ დაერჩეთ იმ პოზიციაზე, რომელზედ დარჩა ჩვენი ხალხი საქართველოს ოკუპაციის შემდეგ და იმის პოლიტიკური ემიგრაციის უცხოეთში. ესე იგი: ჩვენ უნდა დაერჩეთ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ნიადაგზე.

2. ბრძოლა გრძელდება, და თუმცა ამ ბრძოლაში მარტო არა ვართ, მაგრამ მან შეიძლება კიდევ ხანგრძლივი ხასიათი მიიღოს. ამისთვის საჭიროა, რათა ქართველმა ერმა, და მასთან ერთად მთელმა ემიგრაციამ, შეინახოს თავისი ეროვნული მისწრაფებან და განამტკიცოს გადაწყვეტილება შეურიგებელ ბრძოლის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის.

3. ამისთვის საქ. სოც.-დემ. პარტიის ორგანიზაციები, სადაც უნდა იმყოფებოდენ ისინი, თავის მოქმედების უაღრეს დანიშნულებათ ისახავენ ახლა ისე, როგორც ამას ისახავდნენ ყოველთვის დღიდან საქართველოს ოკუპაციისა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, თავისუფალ ერის ყველა სუვერენულ უფლებებით მის შინაურ და საგარეო საქმეებში, თანახმად თავის საკუთარ კონსტიტუციისა,—და ამ გადაწყვეტილებას ისინი არასრიოს არ უდალატებენ.

4. მეორე მშრით, საკუპაციო ხელისუფლება არავითარ ზომებს არ ერიდება, რომ ჩვენი ხალხი გატეხოს წელში, უმთავრესად ჩვენი მოსახლეობის—სხვადასხვა მოსახლეობით—თავის ქვეყნიდან გადასახლებით და უცხო ელემენტების ჩვენს ქვეყანაში ჩამოსახლებით.

მტერს სურს, რათა საქართველო მას ეკუთვნოდეს, მისი მიწა-წყალი, არა ქართველებით დასახლებული. დაყენებულს მტრის ასეთ უადამიანო, ასეთ უელურ განზრახვის წინაშე, ქართველ ხალხს მართებს დიდი სიფრთხილე, რომ პროვოკაციის ანკეს არ წამოეგოს.

5. ქართველი ემიგრაცია იმდენათ მცირე რიცხოვანია, რომ იგი არ წარმოადგენს თვალსაჩინო ძალას ერის ფიზიკურათ და მატერიალურათ დასახმარებლათ; ამიტომ ემიგრაციის და იმის ხელმძღვანელთა უმთავრეს დანიშნულებათ რჩება: გააცნოს განათლებულ კაცობრიობას ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთება და ის მდგრადებების გასაჭირო, რომელში ჩაყენებულია ახლა ქართველი ხალხი თავის

სამშობლო ქვეყანაში; ალიმალლოს ხმა ჩვენში გამეფებულ ძალმომრების წინააღმდეგ; ამხილოს განათლებულ კაცობრიობის წინაშე საკუპაციო ხელისუფლების მუხანათური გაზრახვები და, სანამ ერს თვითონ არ შეუძლია ხმა ალიმალლოს, დაცვას ქართველი ერის საერთაშორისო უფლებები ყოველგან, სადაც მას ხმა კი მისწვდება.

6. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღსაღებაში ჩვენ შევდივართ საქმიან დამოკიდებულებაში თუ კავშირში ყველა იმ ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელნიც იბრძვიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, უდავოთ სცნობენ ქართველ ერის სუვერენულ უფლებას თვით განაგოს თავისი ბეჭი და მის მისწრაფებას დამოუკიდებლობის აღდგენისთვის და, საერთოდ, აღიარებენ ურეწერვით ერთა თვითგამორკვევის უფლებას.

ხოლო ამ საქმიან «დამოკიდებულებაში თუ კავშირში» სხვა ერებთან დაცული უნდა იქმნეს დამოუკიდებლ თბა ქართველი ერის მომზადების გადამშევეტ მომენტისთვის დაარას შემთხვევაში მისი ბეჭი არ უნდა გადაგბას მარტოთ მარტო ერთის სხვა რდებლიმებ ერის ბეჭს, რამდენათაც ძლიერი უნდა იყოს იგი.

7. ჩვენი მოთხოვნილება ეროვნულ საკითხში არის მოთხოვნილება ყველა დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიების ეროვნულ საკითხში. ამისთვის ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები უნდა შეეცადონ, სხვათა შორის, მციროობ კავშირი აღადგინონ მეტრე ინტერნაციონალში შემაგალ სიციალისტებრ პარტიებთან ისე, როგორც ეს იყო უკანასკნელ ომის წინა ხანებში.

8. ჩვენ უნდა ვეცადოთ გავაერთიანოთ ჩვენი მოქმედება სხვა ქართველ პოლიტიკურ ჯგუფებთან, და უპირველეს ყოვლისა თვით სოც.-დემ. პარტიის შეგნით,—გარკვეულ პოლიტიკურ პლატფორმის ნიადაგზე, რათა მათთან ერთად შევძლოთ ჩვენი საპროპაგანდო მუშაობის გაძლიერება სხვადასხვა წრებებში და სხვადასხვა ქვეყნებში და უპირველეს ყოვლისა იქ, სადაც საქართველო უკვე ნაცნობი იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთ.

ჩვენი ერის ინტერესები მოითხოვს, რათა ჩვენ მციროობ ურთიერთობაში ვიყოთ საბჭოთა კავშირში ძალით შეეყანილ ყველა ერებთან და უპირველეს ყოვლისა ჩვენს მეზობლებთან, გავგასიის ერებთან. ხოლო ყოველგან ჩვენ უნდა შევდიოდეთ სხვადასხვა ერებთან თავისუფალ დამოკიდებულებაში და ჩვენი აოჩევანი ჩვენ უნდა მოვახდინოთ და იგი საერთო გზას შევუერთოთ.

კერძოთ, ჩვენ სასარგებლოთ მიგვაჩინია მონაწილეობა დამტკიცის კომიტეტისა მუშაობაში. სახელდობ, თავისუფალ სიტყვის მიწოდებით ტყვეთ მყოფ მოსახლეობისთვის და სა-

9. ჩვენ მხარს უჭირთ და გვერდში კულტურულ ყოფილ ეროვნულ მთავრობის წარმომადგენლობას საქართველოს უფლებების დაცვის საქმეში, როგორც კანონიერ წარმომადგენლობას საქართველოს დამუშკიდებლობისა; ჩვენ მხარს უჭირთ ეროვნულ ხაბების მუშაობას, როგორც პოლიტიკურ ემიგრაციის გამარტივანებელ ორგანიზაციისა და ვაკალ ერთ ხევნს წარმომადგენლობას იქ—როგორც სხვა მისგან ორგანიზაციაში—ხელი შეუწყონ მისი მუშაობის განვითარებას.

10. ქართველი ერი არ შერიგებია და არც შეურიგდება საკუპაციო ხელისუფლებას; იგი იბრძვის და იბრძოლებს სხვადასხვა საშვალებით უცხო უღლის გადასაგდებათ. საქართველოს დემოკრატია მასთან იყო და მასთან იქნება ამ ბრძოლაში: საქართველოს სახელმწიფო უფლებები და მოუკიდებლობის აღდგენისთვის პოლიტიკურათ და სრული სამართლიანობის დამყარებისთვის საციალიზრათ და ეკონომიკურათ.

đm630606030

საქ. სოც.-დემ. პარტიის ხაზ—თელ ღრგანიზაციების,

ამა წლის 19 ოქტომბერს, პარიზში, პოლონეულთა სახლში შესდგა საქართველოს სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთ არსებულ ორგანიზაციების კონფერენცია. წარმოდგენილი იყვნენ დელეგატები საფრანგეთიდან: სოშ, ლიონი, პარიზი; უკრონეთიდან: მიუნხენი, შვეიცარია, ინგლისი, ამერიკა, სტამბოლი.

კონფერენციის დაბაზშ ამშვენებდენ სილიბისტრო
ჯიბლაძის და ისიდორე რამიშვილის სურათები და აგრძელე
უცხოეთში ჩევნებან განშორებული ხელმძღვანელების სურა-
თები: პარტიის და ერის ბელადი ნოე ქორდანია, მის გვერდ-
ზე მარცხნივ და მარჯვნივ ნოე რამიშვილი და ევგენი გეგე-
ნი გეგეჭორი. აღარ გაისმის რაცერთი მათგანის დარიგება,
რჩევა და ვითარება ბრძოლის ველზე გაჭრილ მებრძოლ თ-
ბრძოლაში წაცეული სარდლებმ მრისხანებით ბრძანებას იძ-
ლევინ: «თუ ჩევნის მხრიდან თქვენ ობლათ დარჩით, — ჩევნ
დაგიტოვეთ საქმე მოსავლელი. საკეთებელი, შეკარით რი-
გები. ატარეთ ლირსეულად დროშა—ეროვნული და სოცია-
ლისტრი, —თქვენ გაიმარჯვებთ».

დარბაზში შემოსულ კ კანდელაკს დამსწრენი ტაშის-
ცემით ეგბებიან, მის სახეზე მოსჩანს მწარე ლიმილი. ავად-
მყოფობისგან დაქანცული საკმაოდ გაჯანსალებული მხეთ
მიაბიჯებს და იჯავაბს ადგილს.

ამის აკავი ჩემი კულტურულის აგადმყოფობის გამო საქ—ს სოც.—დემ. 3—ს საზ—ელ ბიუროს სახელით კონფერენციას სწორის გ.

ერაძე. იხსენიებს უცხოეთში გარდა უცხოეთში ამჩანა გებს და სხვა პარტიათა წარმომადგენებს; მოუწოდებს დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივის სცენ მათ ხსოვნას. უსურვებს კონფერენციას ნაყოფიერ მუშაობას.

ბიუროს წინადადებით კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა პ. სარჯველაძე, მდივნათ ლ. ელენტი და მ. ბერიშვილი.

მოპატიუებულ სტუმრებიდან კონფერენციას ესალმებით სოც.-ფედერ-ს წარმომადგენელი ნ. ურუშაძე და ფ. შარაძე. თავის სიტყვაში ნ. ურუშაძე აღნიშნავს იმ იმედებს, რომელსაც მისი შეგობრები ამყარებენ ჩვენს კონფერენციაზე და რომლისგან ბეჭედია დამოკიდებული იმ თანამშრომლობის აღსადგენათ, რაც მუდამ არსებოდა ორ მოძმე პარტიას შორის. კონფერენციას ესალმება აგრეთვე სოც.-რევოლუციონერების წარმომადგენელ ინსებ გობეჩია, რომელიც გრძნობით სავსე სიტყვაში მეგობრულ სალამს უძლვის დამსწრეთ, უსურვებს იმუშაონ ნაყოფიერად ქართულ საქმის თვის. მხურებალე, თბილი სიტყვით მიმართავს კონფერენციას ცნობილი მხედარი პოლ. კ. თოხაძე. კონფერენცია მათ მხურებალე ტაშით აჯილოებს. მოგვიანებით კონფერენციამ მიიღო წერილი ყოფილ მხედართა კავშირის თავმჯდომარის პოლ. ალ. კინწურიშვილისგან, სადაც ის სურვილს გამოსთვამს კონფერენციის ნაყოფიერ მუშაობის თვის.

თავმჯდომარე კითხულობს ამერიკიდან მოსულ წერილს, რომელსაც ხელს აწერენ: სასანია, არველაძე, გაურაცხელია, სარჯველაძე, სადაც ისინი გამოსთვამენ თავიანთ აზრებს ზოგიერთ მტკიცნეულ საკითხების შესახებ. საფრანგეთის პროვინციიდან ამხ. ანტონ უორუოლიანი გამოსთვამს თავის აზრებს მრავალ საკითხებზე, რომლის წერილი გადაეცა პოლიტიკურ კომისიას. კონფერენციას ნაყოფიერ მუშაობას უსურვებენ აგრეთვე: შვეიცარიიდან კ. ჩხერიძელი, მიუნხენიდან ს. კორაძია, ლონდონიდან კ. იმნაძე, სტამბოლიდან ს. მენალარი.

სიტყვა ეძლევა კ. კანდელაკს, რომელიც აკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: «ჩვენი ყოფა ქცევა სამშობლოს განთვისუფლების თვის ბრძოლაში»... მისი მოხსენება არა ერთჯერ შეწყვეტილ იქნა ტაშის ცემით. მკითხველი მას გაეცნობა ამავე ნომერში.

იხურება პირველი სტატო. სტუმრები სტოკებნ დარბაზს. მეორე სტატომანე არჩეულ იქნა სამანდატო და პოლიტიკური კომისიები. კონფერენცია ისმენს მოხსენებას ბიუროს მუშაობის შესახებ და აგრეთვე ამხ. ლ. ფალაგას მოხსენებას ეროვნულ საბჭოს მუშაობის შესახებ. ამით დასრულდა კონფერენციის პირველი დღის მუშაობა.

მეორე დღეს იმართება საერთო კამათი, რომელშიცაც მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ამხ-ბმა: ალ. ტატიშვილმა,

აკ. კვიტაიშვილმა, პრ. ინწყირველმა, ვ. ჭელიძემ, ი. ცინცაძემ, გ. უორდმინიამ, ტ. წულაძემ, გ. ჩუბინიძემ, ლ. ელენტმა, ხარ. შავიშვილმა, კ. რიფამაძემ, გ. ერაძემ, მ. ბერიშვილმა, ლ. ფალავამ.

ორატორები უმთავრესად აღნიშვნავდენ ეროვნულ საბჭოს დაცებით შუშაობას, ეხებოდენ მის ნაკლსაც და მოითხოვდენ მის გაძლიერებას და მის გადახალისებას. შემდეგ კამათში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ზოგიერთ ზემოხსნებულმა ამხ—გმა, ეხებოდენ როგორც ბიუროს ისე რედაქციის მუშაობას, აღნიშვნავდენ ზოგიერთ ნაკლს და მოითხოვდენ მომავალში მის გამოსწორებას. ყველანი დიდ ყურადღებას აქცევდენ ერთ მთლიან პატრიოტულ ფრონტის დაარსების საჭიროებას და მოითხოვდენ ბიუროდან ინიციატივის გამოჩენას მის განსახორციელებლათ.

უკანასკნელ სხდომაზე—მოსმენილ იქნა მოხსენება ადგილებიდან. სოშოდან ამხ. შავდია და ამხ. კ. რიფამაძე—აცნობენ ადგილობრივ ორგანიზაციის მდგომარეობას, მათ აზრს ზოგიერთ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებზე; ამხ. კ. გურია ლიონიდან იძლევა საინტერესო ცნობებს იქ მყოფ ამხანაგების ცხოვრებიდან, გამოსთვევას რწმენას, რომ ჩვენი პარტიული დარაზმულობა უცხოეთში შეასრულებს თავის მოვალეობას.

კონფერენცია ეცნობა სხვადასხვა საკითხებზე პოლიტიკურ კომისიის მიერ შემუშავებულ რეზოლუციებს.

საზღვარგარეთელ ბიუროს გასაფართოვებლათ და გასაძლიერებლათ ერთხმათ მიღებულ იქნა სია შემდეგი ამხანაგების. რომლებიც შევლენ ბიუროში სრულუფლებიან წევრებათ: ლ. ელენტი, ვ. ჩუბინიძე, ალ. ტატიშვილი, პრ. ინწყირველი, მ. ბერიშვილი, ვ. ჭელიძე.

თავმჯდომარე კონფერენციის სახელით ესალმება ქართველ ერს და უსურვებს მას მხნეობას და გამძლეობას ოკუპანტთა წინააღმდეგ უსწორო ბრძოლაში. იგონებს და მშურ სალამს უძლენის ციხე-ციმბირში გადასახლებულ ამხ—გმა და ყველა ქართველ პატრიოტებს, რომლებიც იტანჯებიან საქართველოს თავისუფლებისათვის.

კონფერენცია ერთხმად უსურვებს ჯანმრთელობას ამხანაგებს კ. გვარჯალაძეს და ს. მენაღარს.

დადგენილ იქნა გაეგზავნოს მისასალმებელი წერილი ეროვნულ მთავრობის წარმომადგენლობას კ. კანდელაკს და აკ. ჩხერიკელს.

სიტყვას იღებს ჩვენი ძეირფასი ინა უორდანია, ალფრთოვანებით ულოცავს ყველას კონფერენციის ნაყოფიერად ჩატარებას, მისი სიტყვები ითარება დამსწრეთა ტაშისცემით.

დასასრულ თავმჯდომარე მადლობას უხდის საფრანგეთს, რომლის მფარველობის ქვეშ ყველა ჩაგრულთ და დევნილთ ეძლევათ საშუალება არსებობის და პოლიტიკური მუშაობის. უსურვებს მას წარმატებას და მის წინაშე მდგომ დაბრკოლე-ჟათა გადალახვას.

ამის შემდეგ თავმჯდომარე კონფერენციას დახურულა დაცხადებს.

კონფერენციის დადგენილებები.

პ. განვითარების მინისტრი.

კონფერენცია იწონებს ამხ. კ. კანდელაკის მოხსენებაში წამოყენებულ დებულებებს და ავალებს ადგილობრივ ორგა-ნიზაციებს გაიხადონ ისინი სახელმძღვანელოთ თავის პოლი-ტიკურ მუშაობისთვის.

ეროვნული მთავრობა.

მხარს უჭერთ და გვერდში უდიგვართ ყოფილ ეროვნულ მთავრობის წარმომადგენლობას საქართველოს უფლების და-ცვის საქმეში, როგორც კანონიერ წარმომადგენლობას დამო-უკიდებელ საქართველოსი.

ინტერნაციონალი.

კონფერენცია საჭიროთ აღიარებს გაძლიერებულ იქნეს მციდრო კავშირი სოციალისტურ ინტერნაციონალთან და თავისუფალ ქვეყნების სოციალისტურ პარტიებთან.

ერებთან ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს დამოუკიდებლობის ალსადგენათ ჩენ შევდივართ საქმიან და-მციდრებულებაში თუ კავშირში ყველა იმ ეროვნულ და სა-ერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელიც იბრძვიან საბ-ჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, უდავოთ ცნობენ ქართვე-ლი ერის სუვერენულ უფლებას და მისწრაფებებს დამოუკი-დებლობის ალსადგენათ და საერთოთ აღიარებენ ურეზერვოთ ერთა თვითგამორკვევის უფლებას. ასეთ კავშირში დაცულ უნდა იქნას დამოუკიდებლობა ქართველი ერის მომზადების გადამწყვეტ მომენტისთვის და არას შემთხვევაში მისი ბედი არ უნდა გადაებას სხვა რომელიმე ერის ბედს, რამდენი ძლი-ერი არ უნდა იყვეს ეს უკანასკნელი.

ഉംഗ്രേഡിംഗ് ചെയ്യാൻ കഴിയില്ല.

ჩვენი ერის ინტერესი მოითხოვს მციდობა ურთიერთობაში ვიყენეთ უპირველეს ყოვლისა ჩვენს მეზობელ კავკასიის ერებთან და აგრძელებ საბჭოთა კავშირში ძალით შეყვანილ კულტა ერებთან.

ეროვნული საბჭო.

მოისმინა რა გონიერება ეროვნულ საბჭოს მუშაობის შესახებ, კონფერენცია ალიარებს, რომ მას ქონდა დადგებითი მიღწევები, ცნობს მის არსებობის აუცილებლობას და მოითხოვს მის გაძლიერებას და გადახალისტიბას.

ქრისტენები დარისტი.

კონფერენცია ადგენს მილებულ იქნას გადამჭრელი ზომები, ემიგრაციაში მყოფ ყველა პოლიტიკურ ძალების აშათუ იმ ფორმით გასაქრთიანებლათ ერთ ღრანსოში, ვინც თვითიანთ ჩრდენით, პროგრამით, მოლვაწეობით ემსახურება დემოკრატიულ რესპუბლიკის აღდგენას და იბრძუან საქართველოს წართმეულ კონსტიტუციის მოსაპოვბლათ.

ავალებს ბიუროს გადასდგას ამის განსახორციელებლად
სათანადო ნაბიჯი.

პარტიული ღპვებისა,

მიუჟედავად ხანგრძლივი მოლაპარაკებისა, ცდა ორგანიზაციის გაერთიანებისა ერთხელ კიდევ უშედეგოთ დამთავრდა. კონფერენცია გამოსთქვას მწუხარებას და ადგენს: ებლა გამდგარ ამხანაგების ჯერია გადაღვან სათანადო ნაბიჯი გაერთიანებისთვის.

საწლვარგარეთელი ბიურო.

მოისმინა რა მოხსენება ბიუროს წარსულ შუშაობის შესახებ, აღნიშვნავს, რომ მიუხედავათ ხელმძღვანელი ამხანაგების დაკარგვის და მძიმე პოლიტიკურ პირობებისა,—ბიურომ შესძლო უკანასკნელ წლებში სერთო ხელმძღვანელობის გაწევა. იმდეს გამოსთვევამ მომავალში იგი მცირდოთ შემოიკრებს თავის გარშემო უცხოეთში მყოფ პარტიულ ძალებს.

«წვენი დოკუმა».

კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მიუხედა-
ვათ მძიმე პირობებისა და დაბრკოლებებისა შესაძლებელი
გახდა ბეჭდვითი ორგანოს არსებობა; ავალებს ადგილობრივ
ორგანიზაციებს გაუწიონ მას მორალური და ნივთიერი დახ-
მარება, რათა შესაძლებელი გახდეს მომავალშიაც შისი არ-
სიბობა.

რუსეთის ოძობების ამონიუმია.

ამა წლის 7 ნოემბერს შესრულდა 40 წელიწადი, რაც პე-
 ტერბულგში ბოლშევიკებმა ძალით გარეკეს რუსეთის სახალ-
 ხო წარმომადგენლობა, ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება, დაეპა-
 ტრონენ ქვეყანას და გაბატონდეს.

ეს იყო თებერვლის რევოლუციის—მის ხელმძღვანე-
 ლობის და მეტოზშის—რუსეთის დემოკრატიის დღენი და-
 მარცხების და პოლიტიკური ასპარეზიდან მისი განდევნის.
 დღენი წითელი რეაქცის გამარჯვების; დასაწყისი ერთა და
 ხალხთა ახალი ფორმის ჩაგრის და მონობის, ადამიანის პი-
 როვნების ფეხებზე გათვლივის.

საბჭოთა კავშირის მართველებმა ეს დღე სახალხო უქ-
 მეთ გადაქციეს. მისი 40 წლის თავი იდლესასწაულეს. ამ მე-
 ჯლისში მათ გვერდით იდგა კომუნისტური პარტია და ცცე-
 ლა მათი ულუფით გამაძლარნი დიდი და პატარა მოურავები;
 ზოგი კარმით და ზოგი საქმით რომ მათ იცავენ და ემსახუ-
 რებიან.

ბოლშევიკების გამარჯვების ამ სადლესასწაულო დღე-
 საც საბჭოთა კავშირში მცხოვრებნი ირ მოპირდაპირე ბანა-
 კათ დარჩენ დაყოფილნი: მბრძანებლები და უფლება აყრილ-
 ნი, დამჩაგრელები და დაჩაგრულნი.

ულელზე მჯდომარეობა და ულელში შებმულთ არ შეუძლიან
 ძმობა ერთობა იქნიონ. ამიტომ ერთი რომ ხარობს და სია-
 მოქნობს, ქვეყანას უმართავს ზეიმს და უმასპინძლდება, მეო-
 რე მწუხარობს და მგლოვიარობს. ეს დოკესასწაული არ ახა-
 რებთ საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ დაჩაგრულ ერებს;—
 არც რუსის ხალხის უმრავლესობას, არ ახარებთ ქვეყნის სი-
 მდიდრის და ქონების შემქნელთ სოფლის და ქალაქის მუშავთ
 და მოღვაწეთ. ვინც 40 წლის მანძილზე ზიდეს ჯვარი ტანკის
 და წვალების, მრავალ მილიონობით რომ შეეწირენ მათ თავ-
 ზე ძალით მოხვეულ წესწყობილებას—შრომის და ცხოვრების
 მაჩინჯ ადათ-წესებს.

ბოლშევიკებმა 40 წლის თავზე ქვეყანას ანგარიში ჩაბარეს,
 შინაურს და გარეშეს აჩვენეს და უამბეს რა იმოქმედეს, რა
 გააკეთეს. რა შექმნეს და რა ააყვავეს, რის სალირალათაც ისი
 ნი მოითხოვნ გამართლებას დოკვნდელი მათი დესპოტიუ-
 რი რეეიმის, ყველა მათ მიერ ჩადენილ საშინელ სიმბეცის,
 უადამიანობის და ბოროტების, ორას მილიონიან ხალხის
 ზურგზე მათი მართველობის ხელში რომ ხორციელდებოდა
 და ხორციელდება.

თუ ძევლათ დიქტატორები და დესპოტები დიდ დღე-
 სასწაულების დროს თავიანთ ქვეშევრდომთა გულის მო-
 საგებათ რაიმეს გასცემინენ ხოლმე. მათი ხალხის სული-
 ერ და ხორციელ ცხოვრებას რომ წააღვებოდა. მათ გამწა-
 რებულ სიცოცხლეს რომ შეუსუმბუქებდა, ბოლშევიკებმა

ამის მავიცერათ გამოიტანეს მოსკოვის წითელ მოედანზე ატო-
 მიური ბომბის სასროლი ზარბაზნები, ტანკები, ყოველი ჯუ-
 რის ახალი გამოგონილი სამხედრო იარაღები, აერში უზარ-
 მაზარი საომარი აეროპლანები, ზეცას მფრინავი «სპუტნიკი»
 — მთელი მათი სამხედრო სიძლიერის მაჩვენებელი, ზინაურ
 და გარეშე მტერს რომ დააშინებს, ბოლშევიკურ ლაშეარს
 შერყეულ სულიერ მდგომარეობას რომ გააძარებს. მათი
 პროპაგანდით გაბრიყებულ ხალხშე გავლენას რომ მოახ-
 დენს.

ეხლა ყველამ უნდა დააჯეროს, ორმ კრემლის დიქტა-
 ტორთა ბუნება არც ამ ორმოცი წლის შემდეგ შეცვლილა,
 რომ მათ სიტყვას, მათ თამასუქს, მათ საჯარო განცხადებებს
 არავითარი ფასი და ლირებულობა არა აქვს; რომ მათვის
 საძრახის საქმეთ არ ითვლება ცბიერობა და მოტყუება თა-
 ვიანთ ბატონობის დაცვის და გამრთელების მიწნის მისაღ-
 წევათ. ასე იყო ამ ორმოცი წლის განმავლობაში და ასე დარ-
 ჩა დღესაც.

ორი-სამი წლის განმავლობაში მათი ყიჯინა ზაეზე და
 მშეკიდობიანობაშე, თანაარსებობაშე; მათ შესახებ ლაპარაკი
 და მსჯელობა უკნევაში, ონიუსში, ლონდონში და მუდამ
 ყოველგვარ უსაბუთო მიზწით დასავლეთის წარდგენილი გა
 ნიარალების პროექტების მათგან უარის ყოფა. დროს მოსა-
 გებათ, რომ ლაპარაკის აჭიანურებდენ, გამოიყენეს ქვეყნის
 მოსატყუებლათ და თვალის ასახვევათ. თავიანთ მიზანს მია-
 ხწიეს, ჩუმათ მოამზადეს და დაამთავრეს ეს საშინელი იარა-
 ლები, ქვეყანა რომ გადარიეს და ბევრს რომ დავთარი დაუ-
 ბნიეს.

ოდეს ბედი კაცობრიობის განსაცდელშია, მისი სიცო-
 ცხლე და არსებობა ბეწვეზე კიდია. თუ დასავლეთ ევროპას
 და ჩრდილო ამერიკას არ შეუძლიანთ დაიწყონ ომი გარეშე
 მათი ხალხის სურვილის და დასტურის, რაც არის გარანტია
 მშეკიდობიანობის და ყოველგვარ ავანტიურის თავიდან ასაც-
 დენათ, ამასვე ვერ ვიტყვით კრემლში თავმოყრილ დიქტა-
 ტორების შესახებ, რომლებიც არც თავიანთ ხალხს ეკითხე-
 ბიან თუ რა მოუწყება და რა აწყენს მას, არც თვითონ აგდებენ
 რაიმე ჩალის ფასათ მათ სიცოცხლეს და ყოფაცხოვრებას.

ამ გვარათ, ტეხნიკის და მეცნიერების განვითარება სა-
 ბუნთა კაცშირის ხელისუფლების ხელში, ისე როგორც გიტ-
 ლერის ხელში, სიკეთის და ბენინიერების მაგივრათ, ხდება
 კაცობრიობის დამლუპკველათ და ბოროტებათ; ეს კი მოგვი-
 ტანა 40 წლის თავზე 7 ნოემბრის ბოლშევიკურმა რუსეთის
 რევოლუციიამ. მაშინდელი მათი პოლიტიკური პროგრამა
 ხალხის კეთილ-დღეობის, მისი უფლების, ზავის და მშეიცო-
 ბიანობის შესაქმნელათ დაწერილი, ყველა ეს თავიანთი სა-
 ქმით გააქარწყლეს და გააქრეს შარშანდელი თოვლივით.

გ. ე.

ჩას დღესასწაულობები

40 წლის მანძილზე ოქტომბერი იყო ბუდე, წყარო დაუთავებელი ინტრიგების თესვის,—ერთა შორის შუღლის და მტრობის ჩამომდები. ხან აზია, ხან ევროპის ესა თუ ის მხარე მუდმივი და განუწყვეტელი საგანი შიგ ასაფეთქებელი პროპაგანდის გადასცრით. ადგილობრივი ეკონომიკური და სოციალური მდგრადერების გამოყენებით. ორმოცი წლის მანძილზე ამ ვებერთელა ტერიტორიაზე, საბჭოთა სახელმწიფოს მართავს არა თავისუფალი აზრი და გონება, არა ხალხის კოლექტური შეგნება და ნება სურვილზე აგებული მართველობა, არამედ ძალა უხეში, რომელსაც მუდამ ელანდება დალატი მოძმის, საკუთარ თანამებრძოლისაც.

გაბატონებული სტალინი თუ მისი მოადგილენი. შიშის ზარით შეპყრობილნი ხელისუფლების შენარჩუნების სურვილით მთვრალნი, სისხლის მორევში იკაფავენ გზას, ულეტენ უდანაშაულოთ. ორმოცი წლის მანძილზე რა ცეცხლის კერანი არ დატრიალდა უბედური რუსის ერისა და საბჭოთა კავშირში მომწყველეულ ხალხთა თავზე.

რა მიიღო სამაგიეროდ?

სოციალიზმი თუ ადამიანთა შორის თავისუფლებაა. თუ სოციალური უსამართლობის მოსპობაა, ჩაგვრის განდევნაა,—საბჭოთა დიქტატურამ ადამიანს დაადგა მძიმე ულელი, შებოჭა მისი აზროვნება, მოუსპო მას თავისუფალი შემოქმედების გასაქანი. ოდნავ განსხვავებულ აზრთა მატარებელი მოსპო და გაანადგურა. ხოლო ახალგაზრდობას მისცა ცალმხრივი შეფასება ადამიანის ლირსებაზე და თავისუფლებაზე. კომუნისტურმა მორალმა, რომლის ნიადაგზე გამეტყდა ძმათა-შორის დაუნდობლობა და გაუტანლობა; და ხელისუფლებამ მათ თავზე მოახვია პოლიციური მართველობა, რათა გათოშების საშუალებით და მშაკრული ხერხით გაამაგროს დიქტატურის აპარატი. ადიმიანის პიროვნება მუდმივ საურთხეშია და შიშია, მისი უფლება კანონით დაუცველია და მისი პატრონია კომპარტიის ბობოლა ხელმძღვანელები.

შრომა თავიდანვე გახდა საკუთრება სახელმწიფოსი, მხოლოდ მშრომელი, მისი მესაკუთრე დამონებული და დაუცველი. საბჭოთა დიქტატურისაგან ათვალისწინებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კი მუშათა კავშირები უფლება მოსილია. ყველა თავისუფალ ქვეყნებში. გაფიცეის უფლება ალიარებულია და უფლებით უზრუნველყოფილია, მაშინ როცა საბჭოთა დიქტატურის ქვეყანაში უბრალო უქმაყოფილების გამოცხადებაც კი სასტიკად ისჯება და იდევნება იმ საბუთით, რომ, თითქოს, ყველამ მსხვერპლი უნდა გაიღოს «სო-

ციალისტურ მშენებლობისთვის». შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ დღევანდველმა რუსეთმა რამდენიმეთ წინ წაიწია სამრეწველო განვითარების დარგში. მაგრამ რა ფასით? მას შეეწირა ადამიანის თავისუფლება, კეთილდღეობა, მოხდა მისი სრული დამონაბა. ამავე დროს თუ მსედველობაში მივიღებთ რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრეს და შესაძლებლობას და დროის მანძილს, შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში შემოჭრილი კაპიტალის განვითარება არ მისცემდა ამ ქვეყანას იგივე შედეგებს, როგორც ბურეუაზიულმა რევოლუციამ გზა გაუხსნა პოლიტიკურ დემოკრატიას. რომელი თავისუფალი ქვეყანაა დღეს რომ რუსეთს ჩამოუვარდება ინდუსტრიის მხრივ, განსაკუთრებით კი ამერიკამ შეინარჩუნა პოლიტიკური თავისუფლება, უზრუნველყო შრომის დაცვა და სრულებით ნორმალურ პირობებში მიახწია უდიდეს ტექნიკას და მრეწველობის განვითარებას. თუ თავისუფალ ქვეყნებში სახელმწიფო თანდათან ერევა და ეპატრონება ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებას, იგი იმავე დროს გამოდის მოქალაქის უფლების დამცველის როლში, იგი ხდება მომრიცხელი კერძო კაპიტალის და შრომის შორის, რათა პიროვნების ლირსება არ იქნეს შელახული, მაშინ როცა საბჭოთა სახელმწიფოში კაპიტალიზმის გამაგრებამ მოგვცა არა შრომის თავისუფლება, არამედ იგი გარდა სახელმწიფო პარატის ყავარჯუნი და დასაყრდნობი მოქალაქის ხარჯზე და მის დამონაბაზე.

ორმოცი წლის მანძილზე დიქტატურის ფარგლებში გმინავს მისგან დაჩაგრული ერები, რომლებიც იბრძვიან მის კლანულიდან დასაძრობათ.

რუსეთის იმპერიალიზმა ნახა თავისი გამოხატულება საბჭოთა დიქტატურის დროშის ქვეშ. ის მრავალი აჯანყებები და გამოსვლები, რომელთაც ადგილი ქონდათ და დღესაც აქვთ. განა ეს არ მოწმობს ერთა შორის რა გვარი ძმობა და ერთობა ჩამოაგდო?

მაშ რას დღესასწაულობს დღეს მოსკოვი?

დღესასწაულობს მის მიერ დაწესებულ სოციალისტურ და პოლიტიკურ მონაბას შინაურ ფრონტზე და იმპერიალისტურ დროშით სიარულს საგარეოდ.

სანამ ოქტომბერი იარსებებს კაცობრიობას მოსვენება არ უწერია. სანამ მოსკოვის დიქტატურა კისერს არ მოიტეხს მშეიღებიანობა არ დამყარდება.

ა. ტატიშვილი.

કેળવાનું હોય એ પણ કરીની.

ხრუშჩინოვი შემფრთხებულია, საბჭოთა მწერლობაში სინამდვილის ნიავის შემოტკიც, ცდილობს ჩააყენოს ძეველ კალაპოტში თავაშვებული კალმოსნები. ამ მხრივ მისი ვრცელი მოხსენება უდიდეს მნიშვნელობისაა,—თუ რაკრიზის განიცდის შემოქმედების ის დარგი დიქტატურას რომ თავისი სალტეში ყავდა ჩაცედილი საზოგადოებრივი აზრის ტყვეობაში ჩასაყიდვებლად და ახალი ადამიანის შესაქმნელად.

ამ ორმოცი წლის მანძილზე ვერ შესძლო მან საკუთხით
მონობაში ჩაეყარებია ლეთიური ნიშის ნაყოფი, რაც იწვევედა
სხვადასხვა ჯგუფთა გაქრობას, უიზიკურად მოსპობას, ახლე-
ბის წინ წამოწევას და ასე მოვორდა ტალღა სტალინის სიკვ-
დილამდე, რის შემდეგ საჭირო დარჩა შეუძლების ცოტათი
მოშევება. და თუ მწერლობა და საერთოდ ხელოვნება ცხოვ-
რების სარკეა საზოგადოებრივი ცხოვრების ამხატველია, ამ
მცირე ღროვებით შესაძლებლობის ნიადაგზე იფექტა აქა იქ
მწერლის დამოუკიდებელ შემოქმედების ნაყოფმა, როგორი-
ცა დუდინცევის რომანი: «არა ერთი პურითა!» სადაც გამო-
ჩნდა საპირო ცხოვრების მახინჯი სახე, შიგ წარმოშობილი
ახალი კლასი წარჩინებულთა და მირონ ცხებულთა სახელმწი-
ფოს დიდ მოხელეთა სახით ერთის მხრივ, სილარიბით წელში
გაწყვეტილი და ლუკმა პურის მაძიებელი მეორეს მხრივ.
ახალგაზრდობაში გამოჩნდა პირადი განცდის მოტივები სა-
ზოგადოებრივი ცხოვრების თემატიკა მათგან დაიღინებული,
პარტიის ამოცანების შესრულება უკუგდებული. ჩვენთვის
დამახასიათებელია ის უდიდესი მოვლენა, რომ დიქტატურამ
ვერ შესძლო ჩაეკლა შემოქმედის სულიერი მისწრაფება,
დამოუკიდებელი აზროვნება და ეს უმთავრესათ საქართვე-
ლოში, სადაც სამუოთა კრიტიკოსები ცერებზე დგებიან და
ცდილობენ ..ათა ხრუშჩინოვის განახლებული სტალინის თეო-
რიები კვლავ შეისმინონ. უდისცილინო პოეტებმა და მწერ-
ლებმა რომლებსაც დავიწყებიათ ქებათა ქება შეასხან კრემ-
ლის სამეურნეო გეგმების მიხწევებს რითაც ისინი დაშორე-
ბიან პარტიულ პოლიტიკას და თემატიკიდან ამოუგდიათ სა-
ბუთა სახელმწიფოს ძლიერებასწერი და ლალადი.

ახალგაზრდა მწერლები გაუტაცია საქართველოს წარსულს, მის იდეალიზაციას. მაგრამ თუ აწყვეტი მას არაფერი გააჩნია ოომელსაც უნდა უმდეროს და დღიდოს ამავე დროს არც შეუძლია არსებული აძაღოს, რადგან მას მოელის სიცოცხლის შეწირვა, ამიტომაც ეძებს ხერხელებს, ვარდება პირად განკცელების სამყაროში და იქ ეძებს სულიერ დაკამაყოფილებას. კომპარტიის ამოცანებმა დააკნინა, დაამცირა და დაპკინო არა ერთი ნიჟიერი და იმედის მომცუმი ძალა, მაგრამ როგორც სჩანს, მაში ვერ აღმოაფხვრა სული და გმილი, ვერ გადა-

აგვარა იყო მთლიანათ. ორმოცი წელი დიდია თითოულ კალ-
 ბის ოსტატისთვის. უსათუოდ შეიქმნა მრავალი ლირს შესა-
 ნიშნავი ნაწარმოები, მაგრამ ხელისუფლებისგან მოწოდებუ-
 ლი და მიღებული არც ერთი არ აღმოჩნდა. დიქტატურამ თა-
 ვის პოლიციური ზომებით შესძლო რამოდენიმეთ ადამიანის
 გონიერის, საზოგადოების შებოჭვა, მწერლის ოცნებამ კი და
 მისმა ოსტატურმა მიღომამ ჩაწერა ადამიანის გულში და იქ
 მისი მწუხარება და ტანჯვა გამოამხევრა. დაცუნენ მრავალი
 ამ გზაზე, ჩუმი კალმით ბრძოლა გრძელდება, რაც თავდებია
 ცხოველ აზროვნების შენარჩუნების და ერთის სულიერ კულ-
 ტურის გადასრუნისა. აი, ამ გარემოებამ არის რომ აალაპა-
 რაკა ხრუშჩიოვი და მისი დამეაზნი, რომელმაც სტალინის თი-
 თეული სიტყვა «სულიერ ინჟინრებზე» გაიმეორა და განავი-
 თარა.

დღეს სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ რომ რჩევა, სი-
 ტუვები ისე იქნება შესმენილი, როგორც იყო სტალინის ხა-
 ნაში—მწერლობა გააგრძელებს ეკლიან გზაზე სიარულს ხალ-
 ხისა და მისი კულტურის ინტერესებისათვის.

ია—ძე.

გ ა მ გ რ ი თ !..

მოსკოვში მარშალი გადაეყნეს და მსოფლიო პრესა აფო-
 რიაქდა, ალაპარაკდა, ამოძრავდა სამარჩიელო დარბაზები;
 თუ ნორმალურ, თავისუფალ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრე-
 ბაში გმირად ალიარებულ მხედრის პანლურის ამოკერა გამო-
 იწვევდა საზოგადოებრივ აზრის მდელოვარებას და პროტესტს
 —საბროთ საზოგადოებაში ნამდვილ თუ მოსალოდნელ მო-
 ქიშპის გაქრობა პოლიტიკურ ასპარეზიდან ნორმალურ მოვ-
 ლენათ გადაიქცა.

სტალინის გაბატქება საჭირო იყო თავის დროზე, მისი ნა-
 მოქმედარის გაყიცხვით, —გაწვალებულ ხალხისთვის თვალის
 ახვევა შიგნით, გარეთ კი გულუბრყევილოთა დასაჯერებლად,
 —რეემისის თითქოს ახალ ლიბერალურ ნიადაგზე გადასველა...

კოლეგიალურ დიქტატურის საფარში პირველ დღიდანვე
 სჩანს დაწყო ბრძოლა პირველობისთვის, ბრძოლა მაღლალი,
 ჩუმი, ერთგულთა ძებნა, კარიერისტთა მიმხრობა, პარტიულ
 აპარატებისან თავის დროზე პრესის ამუშავება, ფართო აი-
 ვერსიული მოქმედების გაშლა; ნიშანში ამოლებულ თანამ-
 გზავრის და თანამებრძოლის გარიყვა და აი ხრუშჩოვის აღმა-
 ვალ გზაზე. სტალინის სავარძლის დასაპყრობლად არ მოს-
 ხანს ხრუშჩივა—მოლორეოგის გვამები ბორზე გაკრული, არა-
 მედ მათი ლანდები ახალი ბატონის წინაშე ცოდვილი სულის
 შენარჩუნებისთვის მხობავი. ხრუშჩივი გამოდგა დახელოვ-
 ნებული ოსტატი და რომ ცინიკური შემოქმედებისთვის პრე-

მია არსებობდეს—მას არ აცდებოდა და იგი უმაღლეს ჯილ
 დოს მიიღებდა. საბრალოკაციობრიობა—ვაი თუ ამ იმაღლე-
 ბდეც ავიდეთ თავის ტექნიკური განვითარებით, უნდა ვიმე-
 ფოვნოთ მისი სულიერი კულტურა ამ დაძაბუნებამდე არ
 მივა...

ჯერადობით ახალმა დიქტატორმა შესძლო პარტიულ
 მუხრუჭებით ჯარის შემუსვრა, მისი ძლიერების დამორჩი-
 ლება და თავის პიროვნულ დიქტატურის ბატონობის დროე-
 ბით უზრუნველყოფა.

დღეს უკვე მოსკოვის მართველებიც ველარ უარყოფენ იმ
 მწვავე ეკონომიურ და სამეურნეო კრიზისებს, რომელსაც
 პერმანანტულად გაიცილის საბჭოთა ქვეყანა და სტალინის
 სიკეთილის შემდეგ, დიქტატორთა ერთი-მეორეს შემუსვრა
 სწორედ გამოწევულია ამ სოციალურ და ეკონომიურ სიცნე-
 ლეებით, რომელიც არყევს კართველის კედლებს. საჭიროა
 მუდმივ შეფორმაცია და შიში გაწვალებულ ხლხის ჩაგდება,
 მათი გონიერის, აზრის, ყურადღესის ოშის გამუდმებულ თუ
 სხვა საგარეო უბედურებისკენ მიპყრობა...

ხრუშჩოვმა შესძლო ასტატური ჩაწყობით სტალინის
 მწვერვალზე ასვლა, მაგრამ საბჭოთა ხალხებს შეველა ამით
 არ მოსვლია, ისინი დარჩენ მონობაში, ტყვეობაში და დიქტა-
 ტურის სალტეში, რომლის შიგნით ერთი-მეორეს დაპირის-
 პირება, ქიშიობა და შულლი არა მარტო ხრუშჩოვს მთელს
 რეეიმს მიიყანს დამხობამდე.

ა. ბადრიძე.

მისაბაძი გაგალითი.

ჰოლანდიის პარლამენტში არის რამდენიმე დეპუტატი —კომუნისტი. რადგანაც უნგრეთის რევოლუციის სისხლში ჩახრჩობა ჯერ კიდევ შეტად ალელევებს ევროპის საზოგადო-
 ებრივ აზრს—კომუნისტი-დეპუტატები ათასგვარი ცილის-
 წამებით და სიცრუით შეიარაღებულნი გამოდიან აქ პარლა-
 მენტის ტრიბუნაზე და ამტკიცებენ, რომ უნგრეთის რევო-
 ლიუცია ფაშისტების და კონტრ-რევოლუციონერების მო-
 წყობილი იყოვთ.

ჰოლანდიის პარლამენტი ბეჭდავს ე. წ. «პარლამენტის ბიულეტენ»-ს. პარლამენტის კანონით ამ «ბიულეტენ»-ში ყვე-
 ლა დეპუტატის სიტყვების დაბეჭდვა სავალდებულოა. ამ
 დღეებში ამ სიტყვების დაბეჭდვის შესახებ მოხდა შემდეგი
 ამბავი: «ბიულეტენ»-ის ასოთ-ამწყობებმა უარი განაცხადეს
 კომუნისტი-დეპუტატების სიტყვების აწყობაზე «მოვალეობრ-
 და ამდენი სიცრუის და ცილისწამების წყობა უნგრეთის სი-
 სხლში ჩამხვდას ალ რევოლუციაზე და აწი მას ალარ ავაწ-
 ყობთო». დაადგინეს ერთხმათ და ეს დადგენილება გადასცეს

დასადასტურებლათ ბეჭდვითი სიტყვის პროფესიონალურ კავშირს. კავშირი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. მას არ უნდოდა დარღვევა კანონის, მაგრამ, ამავე დროს, მისი წევრები უარს ამბობენ «ბილიუტენის» აწყობაზე. საკითხის გადასაწყვეტათ კავშირმა მოიწვია ქალაქ გააგის ასოთ-ამწყობთა საერთო კრება, კრება, კრება, განხეთების ცნობით, მეტად მღელვარე და შურითიანი იყო. უმრავლესობა იმ აზრის იყო, რომ არ დარიდებოდენ კანონის დარღვევას და კომუნისტ-დეპუტატების სიტყვა არ აწყობილიყო. ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიღებულ იქნა ერთხმად კრების ერთი წევრის ასეთი წინადადება: ასოთ-ამწყობნი ააწყობენ კომუნისტ-დეპუტატების სიტყვებს, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ სიტყვების აწყობაში ხევდრი ხელფასი—გადაცემათ უკლისათ უნგრეთის რევოლუციის მსხვერპლთა დამხმარე ფონდს. ამავე დროს დადგენილ იქნა გამოცხადდეს განხეთში ყოველ კვირაში თუ რა-მდენი ფულია ამ გზით გადაცემული ფონდზე. ახლა განხეთები მარჩიელობენ იმაზე თუ როგორ მოიქცევიან კომუნისტი დეპუტატები—განაგრძობენ ისევ თავის გრძელ სიტყვებს თუ მას შეამოკლებენ. რადგან, რამდენათ გრძელი იქნება მათი სიტყვა, იმდენი მეტი ფული გადაცემა დამხმარე ფონდს და ეს კი არაფერი სასიამენოა მათთვის.

ღ. ხელაპის ხსოვნას.

თითეულ ჩევნთაგანს წინ უდგას მისი კეთილშობილი სახე, თითეული ჩევნთაგანი გულისტყივილით იგონებს მის უცაბე-დათ განშორებას. ამ დაულალავ მუშავის სახელი დაკავშირებულია ს.-დ. პარტიის პრატიკულ მუშაობის მთავარ ძარღვებთან; როცა მისი ხელი წესტიან სრამბაში ახალგაზრდობი-დანვე ბეჭვითი სიტყვებით ასხამდა საკაცობრიო იდეალებს, და იგი მაღლულად იფარანტებოდა საქართველოს მშრომელ ფართე მასებში. ჩენი პარტიის მთავარ ხელმძღვანელების ნდობა და სიყვარული დაიმსახურა «პატარა დათიკომ», როგორც მას უწოდებდნენ ქუთაისიში თუ სხვა ადგილებში, როცა ცარისტულ რეაქციის ხნებში ის გვერდში ედგა მათ დაერთგულობით ასრულებდა მათ დაგალებებს.

საქართველოს რუსეთისგან დაყურობის მეორე დღესვე, დათიკომ თავისი მოღვაწეობა გააჩაღა ლტოლვილის მძიმე პირობებში.

ახალგაზრდული ცეცხლით გატაცებული, შრომის განუწყვეტელი სურვეილით შეპყრობილი დათიკომ ყოველ-დღიური ცხოვრები იყო მაგალითი თავდადებისა და მსხვერპლის გადებისა საზოგადოების სამსახურში, მისი სულიერი მოთხოვნილების, მისი კულტურული აღმავლობისთვის მზრუნვი და საშუალებათა მაძიებელი. ამზრივ საყურადღებოა და დაუიწყარი, რომ მან უცხოეთში გამოსცა ჩვენი ცნობილი

პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის «დედა-ენა», მით მან უდიდესი სამსახური გაუწია უცხოეთში დაბადებულ ბავშვებს და აზიარა ისინი მშობლიურ ენს. ეს უაღრესად პატრიოტული საქმიანობა მან ჩატარა უანგაროთ, უსასყიდლოთ.

ასეთივე ნივთიერი მსხვერპლის და საკუთარ შრომის გალებით გამოსცა მან კ. ბალმონტის ნათარგმნი «ვეფხის ტყაოსანი» რუსულად.

ხოლო მახსოვს როგორი აღტაცებით მომიტანა მან პატარა გამოცემა ჯიბის «ვეფხის ტყაოსანი» და შითხრა: «ჩაიდევი ჯიბაში და თან ატარე მუდამი-ო. დაუფასებელია მისი პრაქტიკული მიღობა, ამბორივ მან მისცა საშუალება ამ ძირითასი განძის ტარების თითეულ ქართველს,—რომელსაც არ შეუძლია სიამაყით თან არ ატაროს. არა ერთ ხელთნაწერმა იჩილა მწე მისი საშუალებით, მისი უანგარო შრომით წარედგინა მყითხველს და გამდიდრა უცხოეთში პოლიტიკურ-ლიტერატურული სალარო. მან დაიმსახურა ქართული საზოგადოების სიყვარული, ყველა პოლიტიკური წრების პატივისცემა,—თავის მუყაითი შრომის გალებით—ბეჭდეითი საქმეში. მეზობელ ეროვნების მატარებელმა ახალგაზრდობიდანვე ეზიარა ქართულ წერ-ჩვეულებას, მის ადათს და კულტურას, გაიზიარა ცხოვრების სავალ გზაზე მისი ლხინი და სიხარული, გაჭირება და ტკივილები, ისე რომ მას არ დაუგიწყია და სულიერი კავშირი არ გაუწყვეტია ჩვენ მეზობელ სომხის საზოგადოებასთან, პირიქით მასთან განუწყვეტელ კავშირს სთვლიდა ორივე ერის კეთილდღეობის და დამოუკიდებელ ცხოვრების შენარჩუნების—ქვაკუთხედათ. ათეულ წლების განმავლობაში მეგობრულს ჩიდს სდება ჩვენსა და ჩვენს მეზობლებ შორის. იგი იყო ჩვენი ფართიური წარმომადგენელი სომხებთან, მას არ გამოპარვია არც ერთი შემთხვევა რაც მეზობლებთან კავშირს შეინახავდა და გააძლიერებდა.

მას არ ეპარებოდა ჩვენი პარტიულ-საზოგადოებრივი ცხოვრების თითეული წერიმალი, მისი მედგრული გული იფექტებდა ხშირად, —შეუფერებელ მოქმედების წინააღმდეგ; ფიცი, მაგრამ გულკეთილი მის გარშემო იზიდავდა მეგობრებს; რამდენი საპასუხისმგებლო დავალება შეუსრულებია ჩუმად, შეუმნიკელად, ხოლო არასცროს არ უსურვებია ყოფილი იყო არჩეული... თავისი გამოჩენა არ იყო მისი დამახასიათებელი თვისება, საქმის საკეთებლად კი იგი არ ზოგავდა შრომასა და ენერგიას.

მისი ჯანმთველობა უსათუოდ შეარყია წლების განმავლობაში სტამბის მოშხამულ ატმოსფერაში არანორმალურ შრომამ.

დავკარგეთ მუშაკი, რომლის შემცვლელი ჩვენს რიგებში არ სჩანს. დათიკოს დაკარგვას, მის დანაკლის გულის ტკივილით განვიცდით ყოველ-დღიურად.

პ. ს.

პარტიული ცენვებისა.

ვენაში მომხდარ სოციალისტურ ინტერნაციონალის კონგრესზეც ჩვენი პარტიის მიერ წარგვაზენილ იქნა დელეგატებთ შემდეგი სამი ამბანაგი: ალ. კორძაია, ნიკო იმშიაშვილი, იოსებ ცინცაძე. კონკრეტის მუშაობის ანგარიში მოთავსებული იყო «ჩრ. დრ.»-ს უკანასკნელ ნომერში.

ତାରିଖିଲେ ଉର୍ଗାନିଶାପିଲେ କୁର୍ରପାଥୀ ଅମ୍ବ. ର. ପ୍ରିଣ୍ଟପାଠ୍ୟ ଗ୍ରାହକେତା
ଓର୍ପ୍ରେଲି ମେଲ୍‌ସେନ୍ଟର୍‌ର କୁନ୍ଦଗର୍ଜୀଲେ ମୁଖ୍ୟାଳୀପିଲେ ଶେଷାକ୍ଷେତ୍ର. କୁର୍ରପାଥୀ ମା-
ଲ୍‌ଲୋପିଦା ଗାଲାଯ୍ୟକାରୀ ନିର୍ମାଣ ଉପରେ ଏକ ପାଇସନ୍‌ଟାର୍‌କୁ ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଛି।

ქერნალი აპლეილერთა-ი და ხაჭაპურები.

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ცენტრალური ორგანიზაცია «პოლულერ»-ის რედაქცია დიდის ყურადღებით ეპურობა საქართველოს საკითხს და ხშირად შესვლებით მის ფურცლებში ამ თუ იმ სახით წერილს ჩვენი ქვეყნის ამბის და მისი შემსრულების დასაკავათ.

ამას წინათბ. ი. გომექიანმ მოათვავსა რამდენიმე კრცელი წერილი საქართველოს შესახებ, სადაც იგი აცნობს უცხოელთ ქართველი ერის წარსულ და მიმდინარე ბრძოლებს დამოუკიდებელ სახელმწიფო ბრივ ცხოვრებისათვის.

უკანასკნელათ ოქტომბრის მე-10314 ნომერში დაიბეჭდა
საქ. სოც.-დემოკ. პარტიის ორგანიზაციის თავმჯდომარის ი.
ცინკაძის მოკლე და შინაარსიანი ანგარიში საქართველოს
ს.-დ პარტიის საზღვარგარეთელ ორგანიზაციების კონფერენ-
ციის მუშაობის შესახებ:

b c2 d c2.

ჩვენი კონფერენციის მუშაობას მხურვალე სიტყვებით
გამოიხმაურა აგრეთვე ბეჭანისნის მემარცხენე უურნალი
«ყომტუა». ომელიც ამავე ღროს იხსენიებს სოუზს ს.-დემ.
ორგანიზაციის სამაგალითო მუშაობას.

როგორც ვიცით, ყველა ჩემნი ამხ—ბი ჩაწერილი არიან
საფრანგეთის სოც. პარტიის აღმილობრივ ლრგანიზაციაში.

კურნალი ასე ათავებს წერილს: «ქართველი ამანაგების ბრძოლა ძალადობის წინააღმდეგ და მათი სიყვარული თავი-სუფლების ჩვენთვის მისაბაძი მაგალითი უნდა იყვეს»-ა.

3 3 5 0 5 0

3 ნოემბერს, ამზ. ინა კორდანიას გინახუ შესდგა ს. ს.-დ. პ. საჭლვარებ. ბიუროს კრება. მოსმენილ და მოწონებულ იქნა სა-ზღვარგარეთ არსებულ ს.-დ. ორგანიზაციების კონფერენციის დადგენილებანი. ბიუროს გასაფაროთოებლათ და გასაძლიერებლათ კონფერენციის მიერ მიღებულ სიაში მოხსენებული დამატებითი წევრები აღიარებულ იქნენ ბიუროს სრულ უფლებიან წევრებათ და მათთან ერთად კრებამ დაადგინა: მიერთოს პრეზიდიუმს დაამუშაოს პროექტი ბიუროს პოლიტიკურ მუშაობის პროგრამა თანახმად კონფერენციის დადგენილების და წარმოადგინოს მომავალ ბიუროს სხდომაზე.

ლადდ ბელიაშვილის ნაწარმოვები.

ჩვენმა ამხანაგმა ლ. ბელიაშვილმა ორ წიგნად გამოსცა თავის მოხსენება «რუსთაველის და დანტეს იღუმალი», პარიზში ქართულ საზოგადოების წინაშე წაკითხული.

ორიგინალური და ახალი აზრებით ეს მისი შრომა აუცილებლათ პოვებს გამოხმაურებას რუსთაველის მცოდნეთა სპეციალისტებში და თუ გამართლდა, რასაც ავტორი ამტკიცებს, ეს ყოველმხრივ მეტად საინტერესო იქნება.



მაღლენ ფილოშვილის გარდაცვალება.

ამაწლის 30 სექტემბერს, პარიზში გარდაიცვალა ჩვენი ძევლი ამხანაგის—იაკობ ფილოშვილის მიეულლე—მადლენი, რომელიც ნაცნობ-მეგობრების და მოკეთებების თანადასწრებით 2 ოქტომბერს დასაფლავებულ იქნა ვოეირარის სასაფლაოზე.

«ჩვენი დროშა»-ს რედაქცია უცხადებს თანაგრძნობას ამხ. ი. ფილოშვილს და მის დამწუხარებულ ოჯახის წევრებს.

იცხებ ტემულარია.

ხუთშაბათს 14 ნოემბერს პარიზში, თავის ბინაზე სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ქართველ საზოგადოებაში კარგათ ცნობილი იოსებ კემულარია. კიდევ ერთი პატრიოტი დაკალთა ქართველ ემიგრაციის რიგებს. ადამიანი პირდაპირი, კეთილი და ყველას გულშემატკიცარი.

მისმა დამწუხარებულმა მეულლებ და შეილმა ნაცნობ-მეგობრების და მოკეთებების თანადასწრებით მიწას მიაბარეს 18 ნოემბერს ლევილის ქართველ ძმათა სასაფლაოზე. მიუხედავათ ცივი ამინდის და საჯმის დღის, როგორც პარიზიდან, ისე ლევილიდან და სანქერმენიდან მისი პატივისმცემელი დამარხვას მრავლათ დაესწრნენ.

ცხედარის პირვენების დასახასიათებლათ სიტყვები წარმოსქვეს ქართულ კოლონის თავმჯდომარებ—ე. პატარიძემ ქართულათ და ლ. ზურაბიშვილმა ფრანგულათ.

«ჩვენი დროშა»-ს ცოდნი.

ამხ. ქსენია სასანიასაგან მივიღეთ 10 დოლარი.

ფლი და დასაბუჭიდი მასალები უნდა გამოიგზავნოს მემდეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)